ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 18 მარტი, 2022 №55 (8833) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

საქაგლიშვილი: „სააკაშვილისთვის წაყენებული ბრალი აბსურდულია“

ქვემო ქართლში 4 ნარკორეალიზატორი დააკავეს

გვ.5

„ოცნებაში“ აჯაფსანდალი ივანიშვილსაც აღარ აწყობს“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „ხელისუფლება თან ევროპას უმიზნებდეს და თან რუსეთს უწვებოდეს, ასე არ გამოვა“

„კარგად უნდა იცოდნენ, რომ ამ ქვეყანას რუსეთის გუბერნიად ვერ გადააქცევენ!“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ჩვენი მიზანი ნატო უნდა იყოს, რადგან მეზობელი აგრესორი რუსეთი გვყავს“

„სალომე ზურაბიშვილს „ოცნების“ კრიტიკას გმირობად ვერ ჩავუთვლი“

„პოლონეთის რეზერვში ვარ და ჰუმანიტარულ მოხალისედ გამოძახებას ველოდები“

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „რუსეთ-უკრაინის ომი უკვე გაჭიანურების ფაზაშია“

გვ.4

რა უმკაცრესი ახალი სანქციები შეიძლება დაუწესდეს რუსეთს?

„ნუ დააზიანებთ ჩვენს უფლებებსა და ინტერესებს“

ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში პოლონელ კოლეგა მათეუშ მორავიეცკის უმასპინძლა

გვ.3

ვახტანგ გომელაური: „დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 35.5%-დან 50%-მდე გაუმჯობესდა“

შს მინისტრმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში სამინისტროს ანგარიში წარადგინა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ქელი დეგნანი: „ყველანი ერთად დავდგეთ არაპროვოცირებული რუსული აგრესიის წინააღმდეგ“

5 პროკურორი: „ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულმა მთავარი კითხვები უპასუხოდ დატოვა“

3 თბილისში ტრანსგენდერი ქალი სექსუალურად შეავიწროვეს

6 მელიტოპოლის მერი 9 რუს ჯარისკაცზე გაცვალეს „ჩვენ უკრაინელები ვართ“

„ოცნებაში“ აჯაფსანდალი ივანიშვილსაც აღარ აწყობს“

ლადო სადღობელაშვილი: „ხელისუფლება თან ევროპას უმიზნებდეს და თან რუსეთს უწვებოდეს, ასე არ გამოვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? ძალიან მძიმე ვითარება უდგას არა მარტო უკრაინას, არამედ მთელ მსოფლიოს. საკმაოდ საშიში მტერი აღმოჩნდა რუსეთი. ამ ფონზე ჩვენი ხელისუფლების სერიოზული კრიტიკა გვესმის. გასაგებია, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ომი არავის უნდა, მაგრამ უფრო ღირსეულად ხომ არ წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის პოზიცია?

– მე რასაც ახლა ვუყურებ, სალომე ზურაბიშვილი ამ ხელისუფლებას ტუზად აქვს დაცემული. სამწუხაროდ, ესენი ამას ღირსეულად ვერ იყენებენ. კარგი გაგებით გამოყენებასა და სახელმწიფო გამოყენებაზე ვსაუბრობ.

– სალომე ზურაბიშვილმა დასავლეთის თვალში ნამუსი მოსწმინდა ამ ხელისუფლებასო და რას ერჩიან, ან რას ედავებიან?

– ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა მეც, აბსოლუტურად იგივე და ასეთი ადამიანის ასეთი კრიტიკა ძალიან მიკვირს. ვისთვის და რისთვის აკეთებს ამას ხელისუფლება? დასავლეთის დასანახად? რა თქმა უნდა, არა! რადგან სწორედ დასავლეთის პოზიციაზე დგას სალომე. ამას აკეთებენ ლუკაშენკოსა და პუტინის დასანახად. აი, ეს მიდგომაა, ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი. იმედია, ამას გამოასწორებს ჩვენი ხელისუფლება და ყველაფერს შეხედავს ნათელი თვალებით. სოციალურ ქსელსა და ხალხის პოზიციას ვაკვირდებოდი ამ მოვლენებთან მიმართებით და, იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა? რომ დიდი უმრავლესობა იდგა სალომეს პოზიციაზე, ხოლო მტაცებლური ნაცებისა და ქოცების პოზიციაზე იდგნენ მხოლოდ ისინი, ვინც უშუალოდ მათი პარტიის წევრები არიან. აი, ეს მენიშნა სწორედ, ის პოზიცია, რომელსაც სალომე ახმოვანებდა...

– თითქოს ეს არის გამაერთიანებელი. ჯანსაღი საზოგადოება შეიკრიბა პრეზიდენტის გარშემო. ასე ფიქრობთ თქვენც?

– ზუსტად ასეა. იდეური მესამე ძალის, ე.წ. იმ შუაგაკრეფილის პოზიცია იყო ეს. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა და, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ პოზიციაზე დგას.

– რატომ აუჯანყდა ხელისუფლება პრეზიდენტს, რა არ მოეწონათ?

– ხელისუფლება ადგას ისევ იმ არგაღიზიანების პოლიტიკას, რომელზეც, სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა საუბრობს. მათ თითქოს არ უნდოდათ, რომ მათი ქმედება ყოფილიყო ჩრდილოეთისთვის დამამცირებელი

„კარგად უნდა იცოდნენ, რომ ამ ქვეყანას რუსეთის გუბერნიად ვერ გადააქცევენ!“

ან დამაკნინებელი და, შესაბამისად, მათ ქვეყნის სრული ნეიტრალიტეტის შენარჩუნება სურთ, ანუ არც რუსეთი და არც დასავლეთი. მე დასავლეთში ევროპასაც მოვიაზრებ და ამერიკასაც. თუმცა, ისიც მესმის, რომ არც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ რუსეთმა ერთ ლუკმად გადაგვყლაპოს.

– თუმცა ამ სიტუაციაში რუსეთმა მეგობარ ქვეყნებს შორის დაგასახელოს, მინიმუმ, ცოტა უხერხულია...

– მეგობარ ქვეყანად არა, დაგასახელოს არამტრულ ქვეყნად. ეს არ ნიშნავს პირდაპირი გაგებით მეგობრულობას. კი, ერთი მხრივ, უსიამოვნო ფაქტია, როდესაც შენი მტერი მტრად არ აღგიქვამს, მაგრამ, რას ვიზამთ...

– რამდენად დაარღვია სალომე ზურაბიშვილმა კონსტიტუცია? როგორც პრეზიდენტს, მას არ ჰქონდა უფლება, გაემართა პირადი შეხვედრები?

– როდესაც ასეთი მძიმე ვითარებაა და მთელი მსოფლიო ლამის ომის საფრთხის წინაშე დგას, თუკი შენი შეხვედრებით რაღაც კარგი მოგაქვს ქვეყნისთვის, რაც არ უნდა კონსტიტუციის დარღვევით ყოფილიყო ეს, ჩემი აზრით, ამაზე სარჩელი ნამდვილად არ უნდა შეეტანა „ოცნებას“. „ქართული ოცნების“ მხრიდან ეს პოზიცია იყო, რომ აი, მე ვარ აქ მთავარი და ჩემი ნებართვის გარეშე არ შეუძლია არავის ფეხის გადადგმა. ჩემთვის ეს დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია.

– ზოგადად, ძალიან მკვახე განცხადებები აქვს კობახიძეს და ბევრს ყელში ამოუვიდა მისი განცხადებებიო.

– გეთანხმებით. კობახიძის მოსმენა უკვე შეუძლებელია. სალომე ზურაბიშვილს, შესაძლოა, დააბრალონ, დავუშვათ, სხვა ქვეყნის „აგენტობა“, მაგრამ ის, რომ ეს ქალბატონი ნაცებთან არის გაიგივებული, აბსურდი და სრული სიბეცეა!

– ყველაზე სამწუხარო სწორედ ეს არის, რომ როგორც კი „ოცნებას“ რაიმეში არ ეთანხმები, განსხვავებული აზრი გაქვს, მაშინვე ნაცობის იარლიყს გაწებებენ. მთლიანად ჩარეცხეს ყველა. მათი გაგებით, დღეს ან ნაცი უნდა იყო, ან ქოცი.

– სამწუხაროდ, ასეა. თითქოს ნაცებსაც აწყობთ ასეთი პოზიცია, რა პოზიციაშიც ხელისუფლებაა, რადგან, როდესაც ნაცებს აკრიტიკებ, ისინი მაშინვე ქოცად მოგნათლავენ. სწორედ ამაზე ვსაუბრობდი, რომ სალომე ზურაბიშვილმა ისეთი პოზიცია დააფიქსირა, რომელიც არც ნაცური იყო და არც ქოცური!

– საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის ხმა იყო?

– დიახ. აფერუმ იმ ტექსტის დამწერს, ვინც სალომეს ეს ტექსტი დაუწერა და რომელიც სალომემ პარლამენტში წაიკითხა. სიმართლე გითხრათ, უჩვეულო იყო პრეზიდენტის ასეთი გამოსვლა.

– „ოცნებას“ რომ ჰქონდეს 100 ხმა, დააყენებდა სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხს?

– ეს იგივეა, რომ საქმე დაამთავრონ თვითმკვლელობით. მე არ მინდა ამის დაჯერება. ვიმედოვნებ, ამას არ იზამენ. რა პოზიციაც სალომე ზურაბიშვილს აქვს დღეს, ზუსტად ასეთი პოზიცია უნდა წამოეჭრა ხელისუფლებას. ის პოზიცია, რა პოზიციაზეც დღეს „ქართული ოცნება“ დგას, მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. დემოკრატიული ქვეყანა ვართ. ზოგადად, ისეთი ხალხი ვართ ქართველები, ვითმენთ, ვითმენთ, მაგრამ, ერთი თუ ავბუნტდით, ვერანაირი ძალა ვერ გაგვაჩერებს. ასე მოგვივიდა სააკაშვილზეც. ნურავინ ნუ მიიწერს კონკრეტულად ერთი სააკაშვილის მოშორებას. ეს გუნდური ნამუშევარი იყო.

– პროცენტულად უკვე მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი განუდგა ამ ხელისუფლებას. რას ელოდებით, როგორ განვითარდება მოვლენები?

– დიახ, განუდგა და ეს განდგომა და ბიძინა ივანიშვილის მთლიანად ჩრდილში გადასვლა მე მაძლევს საშუალებას, ვიმსჯელო იმაზე, რომ უკვე ბიძინაც აღარ ეთანხმება იმ აჯაფსანდალს, რომელიც დღეს „ოცნებაშია“ წარმოდგენილი. თან ევროპას უმიზნებდე და თან რუსეთს უწვებოდე, ასე არ გამოვა. დასხდნენ და ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. კარგად უნდა იცოდნენ, რომ ამ ქვეყნიდან რუსეთის გუბერნიად ქცევა არ გამოვა! ბიძინა ივანიშვილმა სერიოზულად უნდა გადაახალისოს თავისი გუნდი, თუ არადა, ძალიან ცუდად დაამთავრებენ. ბოლო 30 წელს რომ გადავხედოთ, ყოველთვის კრიტიკულ მომენტში ჩნდებოდ ის ძალა, რომელიც ხელისუფლებას გადაიბარებდა ხოლმე.

– ხომ არ მწიფდება სიტუაცია საიმისოდ, რომ ხელისუფლება შეიცვალოს?

– ერთმა მითხრა რამდენიმე ხნის წინ, ეს სიტუაცია მაგონებს იმ ჟამს, სანამ „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდაო და მეც ვიზიარებ, რომ ის სიტუაციაა ახლაც. აქ პროცესებს ხალხი განკარგავს. ეს ხალხის ქვეყანაა და არა თითო-ოროლა ადამიანის. ხალხს დიდი მოთმინების უნარი აქვს და ეს ერთ მშვენიერ დღესაც ამოიწურება.

– ლადო, ბოლო პერიოდია, ხშირად ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს საქართველოს ბედიც უკრაინაში წყდება. რა საფრთხეები გველის ჩვენ ან რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ომი უკრაინაში?

– შესაძლოა, მოსასმენად არც ისე კარგი იყოს, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ, იქ რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს, ეს ვერ იქნება ის შედეგი, რომ უკრაინა დაიბრუნებს დონბასსა და ლუგანსკს. ამის შანსი მიზერულია. შესაძლოა, რუსეთმა კიევი ვერ აიღო, მაგრამ გაინაღდა ის ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც ახლა აქვს. ჩვენს ქვეყანას რაც შეეხება, კარგ სიტუაციაში ნამდვილად არ ვართ. ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა გვაქვს, რომ ყველა მხრიდან მტერი გვყავს. რუსეთის სერიოზულად დასუსტება, შესაძლოა, ჩვენთვის ევროპული გზის გაძლიერებას ნიშნავდეს. რუსეთიც სერიოზულ საფრთხედ რჩება. დღეს ამ შეშლილი ადამიანის, პუტინის, შეჩერების ერთადერთი შანსი არის შუბლში ტყვია. სხვა მას ვერაფერი შეაჩერებს. მის გუნდშივე უნდა აღმოჩნდეს ვინმე, ვინც ამას გააკეთებს. რუსეთშიც ძალიან ბევრს პუტინი მიაჩნია შეშლილ მმართველად. ეს ადამიანი თავადვე უნდა მოიშორონ. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

კელი დეგნანი: „ყველანი ერთად დავდგეთ არაპროვოცირებული რუსული აგრესიის წინააღმდეგ“

– ათასობით უკრაინელის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის, ბავშვების, ომმა, რომელსაც აბსოლუტურად არანაირი საფუძველი არ აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველანი ერთად დავდგეთ არაპროვოცირებული რუსული აგრესიის წინააღმდეგ.

ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა ოპოზიციონერ დეპუტატებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ელჩის თქმით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების პარალელურად შეხვედრაზე ასევე განიხილეს მისი მიერ გამართული შეხვედრები ვაშინგტონში და ის მხარდაჭერა, რომელსაც ვაშინგტონი გამოხატავს საქართველოს მიმართ.

– ძალიან კარგი განხილვა გვქონდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, პუტინისა და კრემლის მიერ წამოწყებული ტრაგიკული ომი.

ათასობით უკრაინელის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის, ბავშვების, ომმა, რომელსაც აბსოლუტურად არანაირი საფუძველი არ აქვს.

ჩვენ, ასევე, განვიხილეთ ჩემი შეხვედრები ვაშინგტონში და ის მხარდაჭერა, რომელსაც ვაშინგტონი გამოხატავს საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით ასეთ კრიტიკულ მომენტში.

ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ მუდმივი კომუნიკაცია გვქონდეს ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, რათა გამოვხატოთ აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

რაც შეეხება უკრაინას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველანი ერთად დავდგეთ არაპროვოცირებული რუსული აგრესიის წინააღმდეგ, – განაცხადა კელი დეგნანმა.

„იგეგმება პროვოკაცია ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით“

რა ინფორმაციას ფლობს მიხეილ სააკაშვილი

მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე პროვოკაცია იგეგმება.

ამის შესახებ მესამე პრეზიდენტმა 17 მარტს, მისი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განაცხადა.

– მაქვს ინფორმაცია, საუბარია გეგმაზე, რომლის თანახმადაც, იგეგმება პროვოკაცია ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და გამყოფ ხაზთან, რის შემდეგაც ეს პროვოკაცია დაჰბრალდება საქართველოს ოპოზიციურ ჯგუფებს. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობა მოსთხოვს საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას და საქართველოს მთავრობა მზად იქნება, გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი და, ამავე დროს, გაანეიტრალოს ოპოზიციის საქმიანობა.

ეს არის, რაც იგეგმება.

თქვენ იცით, რომ უკრაინას ელაპარაკებიან ახლა ნეიტრალიტეტზე, მაგრამ უკრაინის ნეიტრალიტეტი სულ სხვა რაღაცას ნიშნავს. უკრაინის ნეიტრალიტეტი არის კარგად, მაგრად შეიარაღებული უკრაინა ამერიკით და უსაფრთხოების გარანტიებით. ჩვენი ნეიტრალიტეტი არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

აი, ეს გეგმა მზადდება, – განაცხადა სააკაშვილმა.

დეფოლტი გადაიდო – რუსეთმა ვალდებულებები დაფარა

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს საგადახდო დავალიანება ევროობლიგაციებზე კუპონური გადახდების შესახებ შესრულდა.

„რუსეთის ფინანსთა სამინისტრო იტყობინება, რომ კუპონური შემოსავლის გადახდის დავალება რუსეთის ფედერაციის საგარეო ობლიგაციური სესხების ობლიგაციებზე 2023 წელს ვადიანი 117.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, 2022 წლის 15 მარტს, გაგზავნილია უცხოურ კორესპონდენტზე“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ბლუმბერგი წერდა, რომ თუ რუსეთი 16 მარტამდე ვერ გადაიხდიდა სავალო ვალდებულებებს 117 მილიონი დოლარის ოდენობით, ამას შეიძლება გამოეწვია რუსეთის პირველი დეფოლტი უცხოური ვალუტის ვალზე 1917 წლის რევოლუციის შემდეგ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილს „ოცნების“ კრიტიკას გმირობად ვერ ჩავუთვლი“

სოსო ცინცაძე: „ჩვენი მიზანი ნატო უნდა იყოს, რადგან მეზობელი აგრესორი რუსეთი გვყავს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პრეზიდენტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ?

– როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნებში ფსონი სალომე ზურაბიშვილზე დადო, მე მაშინვე ვთქვი, რომ უნდა მოემზადონ სიურპრიზებისთვისაც. ჯერ ეს არ ნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციაში გადავიდა. „ქართული ოცნების“ კრიტიკა დღეს გმირობა არ არის. ამიტომ ამას გმირობად ვერ ჩავუთვლი, რადგან, ვინც ოდნავ მაინც არჩევს შავსა და თეთრს, ყველა აკრიტიკებს „ოცნებას“. ვნახოთ, დაველოდოთ, როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯები, დაიხევს უკან თუ, პირიქით, კიდევ უფრო მეტს იტყვის. ჯერ ყველაფერი წინ არის.

– უკრაინის თემაზე რომ გავაგრძელოთ საუბარი, როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია უკრაინის ნეიტრალიტეტი, შვედურ და ავსტრიულ მოდელზე საუბარი?

– არც ავსტრიული და არც შვედური მოდელი, არა მგონია, უკრაინაში ამოქმედდეს, არა იმიტომ, რომ უკრაინელები აცხადებენ, რომ მხოლოდ უკრაინულ მოდელზე უნდა იყოს საუბარი. ნეიტრალიტეტი გასაგებია და ამაზე ზელენსკიც თანახმაა, მაგრამ აქ უმთავრესი თემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ეს არის ურთულესი საკითხი.

უფრო კონკრეტულად რომ განვიხილოთ: კი ბატონო, ნატოში არ შევალთ, გამოვაცხადებთ ნეიტრალიტეტს, მაგრამ ამის საპირწონედ უკრაინა გარანტიებს ითხოვს, არა ისეთს, როგორიც უკვე არსებობდა და რომელიც პუტინმა ყველას თავზე გადაახია, საუბარია რეალურ გარანტიებზე.

– რა შეიძლება იყოს ეს გარანტიები?

– დაირღვევა თუ არა რუსეთის მიერ შეთანხმება და გადმოვა თუ არა უკრაინის ტერიტორიაზე, ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ნატოს წევრი ქვეყნის სადარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმავე წუთში, არა ერთი და ორი თვის შემდეგ, არამედ იმ წუთში ყველა საჭირო შეიარაღებით. ამ გარანტიებს ითხოვს ზელენსკი. ცნობილია, რომ მომავალ კვირას ჯო ბაიდენი ბრიუსელში ჩადის. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ყველაფერზე იყოს საუბარი.

2010 წელს უკრაინამ კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ ნეიტრალიტეტს გამოაცხადებდა, მაგრამ 2014 წელს შეიჭრა უკრაინაში და ომი დაიწყო. 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმიც არსებობდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს პუტინისთვის, ყირიმი წაიღო. ამიტომ ზელენსკის გაუჭრელი კოზირის კარტი უჭირავს ხელში, რომ რუსეთს არ ენდოს. მეტი რა ექნა უკრაინას, კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ ნეიტრალური იქნებოდა, ნატოზე უარს იტყოდა, მაგრამ პუტინი 2014 წელს მაინც შეიჭრა. ამიტომ ზელენსკი მოლაპარაკებების დროს მოითხოვს იმ გარანტიებს, რომლებზეც უკვე გესაუბრეთ. არ ვარ ნატოს წევრი, მაგრამ, თუ დამჭირდა, ზუსტად იმავე დახმარებას მივიღებ, რომელსაც წევრობის დროს მივიღებდი. ასეთია მოთხოვნა.



– რამდენად შეიძლება, უახლოეს დღეებში შედგეს შეთანხმება?

– არა მგონია, შეთანხმება ასე სწრაფად მოხდეს. თუ შეთანხმებისკენ მიდის ყველაფერი, მაშინ ზელენსკი ბუნდესტაგს, სენატს, ყველას, ვისაც მიმართავს, იარაღს სთხოვს, ცის ჩაკეტვას სთხოვს. თუ შეთანხმებისკენ მიდის ყველაფერი, მაშინ, რა გამოდის. ძალიან მძიმე სიტუაციაა. ზელენსკი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ითხოვს, რაც წარმოუდგენელია. რუსეთი რასაც წაიღებს, ნებით უკან არაფერს აბრუნებს. ამიტომ, სანამ პუტინი პრეზიდენტია, არა მგონია, ყირიმის უკან დაბრუნება დაუშვას. რაც შეეხება დონეცკსა და ლუგანსკს, აქაც რთულად არის საქმე, რადგან არც აღიარებას არ წაიღებს უკან ასე მარტივად. ამიტომ, ძალიან მეეჭვება, ერთ კვირაში მშვიდობა რეალური იყოს.

საერთოდ, ძალიან რთულია, ქვეყანამ ნეიტრალიტეტზე იფიქროს, თუ მას აგრესიული, მტრული მეზობელი ჰყავს, ისეთი, როგორიც რუსეთია. ავსტრია თუ ნეიტრალური ქვეყანაა და მშვიდადაა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მშვიდობიანი მეზობლები ჰყავს. შვეიცარია და ლიხტენშტეინი პრობლემას არასდროს არ შეუქმნიან ავსტრიას. რაც შეეხება შვედეთს, სხვათა შორის, იქ უკვე დღითი დღე იზრდება ნატოში გაწევრიანების მსურველთა რიცხვი. ეს იდეა შვედეთში უკვე ხელისუფლებაშიც სერიოზულად არსებობს.

– რაც შეეხება საქართველოს, ხომ არ ფიქრობთ, რომ ნატოს უარი უკრაინისთვის, ბაიდენის ცნობილი განცხადებაც, რომ ძალიან დიდხანს ვერ გახდება უკრაინა ნატოს წევრი, დიდ იმედგაცრუებას გამოიწვევს საქართველოში?

– რასაკვირველია, თუმცა ერთი რაც ცალსახაა – საქართველოს ნეიტრალიტეტი ვერ გამოადგება ზუსტად იმავე მიზეზით, რაც გითხარით. ჩვენ მტრული, აგრესორი მეზობელი გვყავს. ამიტომ ჩვენი მიზანი ნატო უნდა იყოს. როდესაც მეზობლად ლიხტენშტეინი და შვედეთი გეყოლება, რომლებისგანაც თეორიულადაც კი გამორიცხულია მსგავსი ზრახვები, მაშინ, რა თქმა უნდა, მშვიდად გამოაცხადებ ნეიტრალიტეტს, მაგრამ ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ და ამ რეალობიდან უნდა ამოვიდეთ. საქართველომ პროდასავლურ კურსზე უარი არ უნდა თქვას. ეს გამორიცხულია. კი გვითხრა ბაიდენმა, 30 წელი უკრაინა ვერ გახდება ნატოს წევრიო, რაც ნიშნავდა, „მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გესმოდესო“, მაგრამ, სანამ რუსეთს ჩვენთვის არ სცხელა, უნდა ვეცადოთ ისეთ სამხედრო ალიანსთან კავშირს, როგორიც, მაგალითად, ისრაელს, სამხრეთ კორეას, იაპონიას აქვთ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში პოლონელ კოლეგა მათეუშ მორავიეცკის უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 17 მარტს ბათუმში პოლონელ კოლეგა მათეუშ მორავიეცკის შეხვდა.

პირისპირ შეხვედრაზე მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევები, ასევე ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ ასოცირებული ტრიოს ქვეყნების – საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიერ წარდგენილი განაცხადები განიხილეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა და სოლიდარობა უკრაინისადმი, როგორც ორმხრივ, ისე საერთაშორისო ფორმატებში, ასევე ისაუბრა ჰუმანიტარულ დახმარებაზე, რომელსაც ქართული მხარე უკრაინელ ხალხს უწევს. პრემიერ-მინისტრებმა აღნიშნეს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევის როლი ვითარების დეესკალაციისთვის და იმსჯელეს იმ ზომებზე, რომლებსაც საერთაშორისო თანამეგობრობა ომის რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის მიმართავს.

შეხვედრაზე ჩვენ ვრცელი საუბარი გვქონდა, ასევე საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ გაკეთებულ განაცხადზე, რაც მართლაც ისტორიული ნაბიჯია და ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი, ეს არ არის მხოლოდ ჩვენი, მთავრობის გადაწყვეტილება. ეს არის ჩვენი მოსახლეობის გადაწყვეტილება, ჩვენი ხალხის არჩევანი. რა თქმა უნდა, პოლონეთისგან, როგორც ჩვენი ევროინტეგრაციის ერთგული მხარდამჭერისგან, მე მჯერა და მოვისმინე პრემიერ-მინისტრისგან, რომ საქართველოს ექნება ძალიან დიდი მხარდაჭერა პოლონეთისგან ამ გზაზე.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე, ასევე აღინიშნა ამ გზაზე ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესი. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა, რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით გადაწყვეტილებას და ამ პროცესში საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის პოლონეთის მხარდაჭერას.

– კარგად გვესმის, რომ ეს არის გრძელი გზა, გვჭირდება რეფორმების განხორციელება, მომზადება ქვეყნის, ეკონომიკის განვითარება, ბევრი პრობლემის დაძლევა, რათა ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი. ასევე მოვისმინეთ ევროკავშირის ლიდერებისგან, რომ დაჩქარებულად რომელიმე ქვეყნის მიღება ევროკავშირში არ იგეგმება და ეს არის ხანგრძლივი პროცესი. ჩვენ ვართ აბსოლუტურად მოტივირებულნი, რომ ის შეთანხმება, რომელსაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ, ასოცირების შეთანხმებას ვგულისხმობ, სხვათა შორის, მე მოვაწერე ხელი ამ შეთანხმებას 2014 წელს, ზედმიწევნით ვასრულებთ ყველა იმ ვალდებულებას, რომლებიც გაწერილია ასოცირების შეთანხმებაში.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ხაზი გაესვა საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და ძლიერ პარტნიორობას, რომელიც ორ ქვეყანას აკავშირებს. 2022 წელი საიუბილეოა ორმხრივ ურთიერთობებში, რამდენადაც დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 30 წელი სრულდება. გამოითქვა ორმხრივი მზადყოფნა, სტრატეგიული პარტნიორობისა და სხვადასხვა სფეროში მაღალი დონის დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.

– ბატონო პრემიერო, ქალბატონებო და ბატონებო, ქართველ და პოლონელ ერებს აკავშირებს ისტორიული მეგობრობა, რომელიც დღესაც გრძელდება. დღეს აქ ვარ ამ თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მაგრამ, ასევე უნდა დავასრულო ჩემი გამოსვლა და მადლობა გადავუხადო საქართველოში მოწვევისთვის პრემიერ ღარიბაშვილს. მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც შეტანილი აქვს წვლილი პოლონურ-ქართული ურთიერთობების განვითარებაში, რისი ნათელი მაგალითია დღეს ბათუმში ლეხ კაჩინსკის ძეგლის გახსნა – ადამიანის, პრეზიდენტის, რომელსაც სჯერდა თავისუფლების, სუვერენული ერების თანამშრომლობის და ეყო იმის სიმამაცე, რომ სწორი გადაწყვეტილება მიეღო საჭირო დროს. მან გააერთიანა ჩვენი ერები და ამისთვისაც მსურს, მადლობა გადავუხადო აწ გარდაცვლილ პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის. დღევანდელი ჩვენი მეგობრობა მოვიმკეთ სწორედ იმ დათესილი ქმედებების შედეგად, რომლებიც დათესა პრეზიდენტმა კაჩინსკიმ.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელშიც პოლონეთის მხრიდან მონაწილეობდნენ: სახელმწიფო მდივანი მინისტრის რანგში, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან მიხალ დვორჩიკი, სახელმწიფო მდივანი მინისტრის რანგში პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან იან ჯიეჯიჩაკი, სახელმწიფო მდივანი, პოლიტიკური კაბინეტის თავმჯდომარე კშიშტოფ კუბუვი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე მარიუშ პშიდაჩი, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი მრეკ კოროვაიჩიკი და პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი.

ქართული მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი.

ვოლსკი: „საფეთქელზე კალაშნიკოვის“ ლულა გვაქვს მოდებული“

უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ პრემიერ ღარიბაშვილის უკრაინაში შესაძლო ჩასვლაზე საუბრისას განაცხადა:

– რომ გადაწყვიტოს პრემიერ-მინისტრმა და მკითხოს, შენ რა აზრის ხარო, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ არის თავისი ოკუპირებული ტერიტორიით, „კალაშნიკოვის“ ლულა გვაქვს საფეთქელზე მოდებული, არ ვურჩევდი. როგორ შეიძლება?! კიდევ მეტს ვლაპარაკობთ.

თბილისში ტრანსგენდერი ქალი სექსუალურად შეავიწროვეს

თბილისში ტრანსგენდერი ქალი სექსუალურად შეავიწროვეს. როგორც დაზარალებული „ პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, ორმა კაცმა მოულოდნელად გააჩერა მანქანა, დაუწყეს შეურაცხმყოფელი საუბარი, მათგან ერთ-ერთი კი ფიზიკურად შეეხო.

მომხდარი ფაქტი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, რომელიც „პრაიმტაიმს“ თავად მიაწოდა.

– დიდუბის ტერიტორიაზე გავჩერდი, რადგან ყავა მინდოდა მეყიდა, ყავის ლოდინში ძალიან სწრაფად მოვიდა შავი ავტომობილი. ავტომობილიდან ორი ახალგაზრდა ბიჭი გადმოვიდა, დამცინავი არშიყი დამიწყეს – „ცუნცულ“ და მსგავსი მიმართვის ფორმა ჰქონდათ.

ერთ-ერთმა მოულოდნელად თეძოზე მომისვა ხელი, ჩემი ნების დამოუკიდებლად. ეს ყველაფერი გადაიღო სათვალთვალო კამერებმა, სადაც ჩანს, როგორ მკიდებს ხელს და როგორ ვაპროტესტებ – რას აკეთებ, ხომ არ გამოშტერდი-მეთქი.

სავარაუდოდ, არ იცოდა, რომ ტრანსი ვიყავი, თუმცა ეს სექსუალური შევიწროება იყო. რა თქმა უნდა, გავასაჩივრე. სამართალდამცველებმა დაიწყეს გამოძიება, ის ბიჭიც იპოვეს უკვე. შემთხვევა ღამით მოხდა, 12:40 წუთზე დაახლოებით.

სხვა დროსაც ვყოფილვარ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, თუმცა ამ ბიჭისგან არა, – განაცხადა ტრანსგენდერმა ქალმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში.

„პოლონეთის რეზერვში ვარ და ჰუმანიტარულ მოხალისედ გამოძახებას ველოდები“

ვახტანგ მაისაია: „რუსეთ-უკრაინის ომი უკვე გაჭიანურების ფაზაშია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ქვეყნის ნგრევის შემდეგ, რაც რუსეთმა დაატეხა უკრაინას თავს, საუბარი დაიწყო უკრაინის ნეიტრალიტეტის სტატუსზე. შეიძლება, ეს შეთავაზება რეალური იყოს, ანუ რუსეთი სანდოა?

– რუსეთი რამდენად სანდოა, ცალკე საუბრის თემაა. ახლა რუსეთს სურს, შექმნილი ვითარებიდან გამოვიდეს, რადგან ომში ძალიან ჩაერთო. რუსეთი ომის გაჭიანურებას არ ელოდებოდა. მისი სამხედროები და მედიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ უკრაინელები გმირულად იბრძვიან. უკრაინელების ბრძოლით თვითონაც გაკვირვებული და აღფრთოვანებული არიან.

– უკრაინელების ბრძოლით რუსები არიან გაკვირვებული და აღფრთოვანებული?

– დიახ, საინფორმაციო გამოშვებაშიც ვერ დამალეს, რომ უკრაინელები ოკუპანტებს გმირულად უწევენ წინააღმდეგობას. ეს საინტერესო ფაქტია. ამას ისინი ღიად აღნიშნავენ. ახლა კრემლისთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტის კონსერვაცია და ცდილობენ, როგორმე უკრაინა ხელშეკრულების ხელმოწერაზე დაითანხმონ. რუსები აღარ საუბრობენ დენაციფიკაცია-დემილიტარიზაციაზე.

საუბრობდნენ ახალი ტიპის უკრაინის სახელმწიფოს შექმნაზე. რუსეთს ექვსი მოთხოვნა ჰქონდა, რომელიც სამ მოთხოვნაზე ჩამოვიდა. უკვე ჩანს, როგორია ამ ომის მიმართ რუსების დამოკიდებულება, ომისა, რომელიც თვითონ წამოიწყეს. უნდა სცოდნოდათ, რომ მათ უკრაინაში ყვავილებითა და ენთუზიაზმით არავინ ელოდებოდა.

ახლა შეთავაზების ერთ-ერთი ვარიანტია უკრაინის ნეიტრალიტეტი, ანუ ნატოში არგაწევრიანება. ნეიტრალიტეტის თემა პუტინისათვის სამაშველო რგოლია, რადგან, თუ, დავუშვათ, შეთანხმდნენ, მაშინ პუტინი იტყვის, სამხედრო კამპანია იმისთვის განხორციელდა, რომ უკრაინა ნატოში არ გაწევრიანდაო. პუტინსა და მის იდეოლოგიურ მანქანას ამის შიდამოხმარებისთვის გამოყენება არ გაუჭირდება, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს.

უკრაინის დემილიტარიზაცია უკანა პლანზე გადავიდა. დემილიტარიზაცია ნიშნავდა უკრაინის მთელი შეიარაღების განადგურებას, დაახლოებით სამილიციო ფუნქციების, ტერიტორიული თავდაცვის ძალების დატოვებას, როგორც იაპონიაშია, მაგრამ პუტინის დიპლომატები მოლაპარაკებისას დემილიტარიზაციას აღარ ითხოვენ, თანახმა არიან, უკრაინის შეიარაღებული ძალები დარჩეს, როგორც ორგანიზებული ძალა, მაგრამ შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს 100 ათას ადამიანს, მაგრამ არ უნდა ჰქონდეთ დამრტყმელი ტიპის შეიარაღება.

დენაციფიკაციაზე რუსები აღარ საუბრობენ. ისინი უკვე აღიარებენ პრეზიდენტ ზელენსკის ლეგიტიმურობას, თუმცა ომის წარმოების პირველ პერიოდში პირდაპირ ცდილობდნენ, მოეხდინათ უკრაინის ხელისუფლების დელეგიტიმაცია და უკრაინის ხელისუფლება გარდამავალი მთავრობით შეეცვალათ. ეს მათ არ გამოუვიდათ, რადგან ვერ შეძლეს მთავარი ქალაქების დაკავება.

მესამე მოთხოვნაა ყირიმის ანექსიის აღიარება და დონბასის სპეციალური სტატუსის განსაზღვრა, რაც მინსკის ხელშეკრულების პრელუდიას წარმოადგენს.

– როგორი შეიძლება იყოს უკრაინის გადაწყვეტილება?

– ზელენსკის მთავრობა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას არ დასთანხმდება.

– ზელენსკი ამერიკასა და სხვა ქვეყნებს ახალი სამხედრო კავშირის შექმნას სთავაზობს, რომელიც 24 საათის განმავლობაში თავდასხმაზე რეაგირებას მოახდენს. შექმნილ ვითარებაში ზელენსკი რუსეთთან ომის კონსერვაციას დასთანხმდება?

– კონსერვაციასთან დაკავშირებით მხარეები საკმაოდ შევიდნენ წინააღმდეგობაში. ჯერჯერობით კონსენსუსი არ არის. უკრაინის მთავარი მომლაპარაკებელი მიხეილ პოტლიაკი ამბობდა, შეიძლება, ხელშეკრულებას მაისის დასაწყისში ხელი მოაწეროსო. თითქოს მხარეები შეთანხმდნენ, მაგრამ, რაზე შეთანხმდნენ, უცნობია. ჯერჯერობით საომარი მოქმედებები მიმდინარეობს შუაგულ ევროპაში და უკვე ჰუმანიტარული კატასტროფაა.

– ზელენსკი ამბობს, რომ მოქმედი საერთაშორისო ინსტიტუტები აღარ მოქმედებს. ბიუროკრატიული ბარიერებია. ამიტომ უნდათ ახალი სამხედრო ალიანსის შექმნა. ზელენსკი ახალი სამხედრო ალიანსის შექმნას შეძლებს?

– ყოველ შემთხვევაში, სამმხრივი ალიანსი შეიქმნა – დიდი ბრიტანეთი-უკრაინა-პოლონეთის ალიანსი. ეს უფრო უსაფრთხოების ალიანსია, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური. რამდენად შეიძლება გადაიქცეს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად, ამ ეტაპზე ცოტა რთულად მეჩვენება, თუმცა, შეიძლება, ეს ალიანსი არსებობდეს, როგორც ჰაბი, საიდანაც უკრაინას მიეწოდება შეიარაღება.

ლტოლვილების ყველაზე დიდი რაოდენობა პოლონეთმა მიიღო. პოლონეთთან პირდაპირი ურთიერთობა მაქვს, მეც რეზერვში ვარ და ჰუმანიტარულ მოხალისედ გამოძახებას ველოდები. ყველაზე მეტი ლტოლვილი პოლონეთშია.

– თქვენ მიდიხართ მოხალისედ?

– დიახ, ეს დღეს ყველაზე პრობლემატური თემაა, ვიდრე სამხედრო მოხალისეების თემა. ურთულესი პასუხისმგებლობის სამუშაოა.

– დღეს როგორია საბრძოლო მოქმედებების არეალი, ბრძოლის ველზე ვის როგორი პოზიციები აქვს?

– ყველაფერი პოზიციურ ბრძოლებში გადავიდა. ერთიანი ფრონტის ხაზი არ არსებობს. ფრონტის ხაზი გადაჭიმულია 3 ათას კილომეტრზე, კიევიდან ოდესამდე. ახლა მიმდინარეობს მანევრირებადი ომის საბრძოლო მოქმედებები.

სტრატეგიული ინიციატივა ჰაერში და ზღვაზე რუსეთის ფედერაციას აქვს. ოღონდ რუსეთმა დაკარგა ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ინიციატივა ხმელეთზე. სახმელეთო ოპერაციებში უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს, მანევრირებადი, ღრმა თავდაცვიდან აქტიური თავდაცვის სტრატეგიაზე გადასულიყვნენ. ისინი ახორციელებენ მანევრირებადი ტიპის რეიდებს. ზურგში, ფლანგებზე ცეცხლი ეხსნებათ რუსეთის შეიარაღებული ძალებს, რომლებიც უკვე დემორალიზებული არიან.

ელემენტარულად, რუსული ძალების მიზნები და ამოცანები გარკვეული არ არის. თუ უკრაინის შეიარაღებულ ძალებს კონკრეტული ამოცანები და მისია გააჩნიათ, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ სერიოზული საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვა გარკვეული დროის განმავლობაში, რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობის გარკვეულ წარმომადგენლებს არ აქვთ გამოკვეთილი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

მიზნები და ამოცანები მკვეთრად თუ არ არის გამოკვეთილი, ისე ნებისმიერ შეიარაღებულ ძალას გაუჭირდება რაიმე წარმატებაზე საუბარი. ამიტომ ახლა უკრაინისა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ძალიან რთული სიტუაციაა.

– როგორ?

– ფაქტობრივად, რუსებმა ვერც ერთი დიდი ქალაქი ვერ აიღეს. საუბარია ხარკოვზე, სუმზე, ჩერნიგოვზე, ოდესასა და ნიკოლაევზე. მარიუპოლიც კი არ არის აღებული. მარიუპოლზე საკმაოდ დიდი შეიარაღებული ძალებია მიჯაჭვული, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობას საშუალებას არ აძლევს, ეს ძალები ფრონტის გარკვეულ მონაკვეთებზე სიტუაციის გამოსასწორებლად გამოიყენოს.

ამიტომ ომი უკვე გაჭიანურების ფაზაშია. უკრაინის შეიარაღებული ძალების ოპერატიული და ტაქტიკური უპირატესობა სახმელეთო ბრძოლებში უკვე სულ უფრო აშკარაა. გარკვეულწილად, ტაქტიკური უპირატესობა ჰაერშიც შეიმჩნევა, საჰაერო ბრძოლებში. სტრატეგიული უპირატესობა რუსებს აქვთ. საუბარია 2-3 კილომეტრის სიმაღლეზე მოქმედი მოწინააღმდეგის საჰაერო სამიზნეების განადგურებასა და მათ რადიუსზე, რომელიც ეხება სახმელეთო ძალების მხარდაჭერას.

ამიტომაა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები კარგავენ თავიანთ საბრძოლო თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს. რუსეთს ჰაერსა და ზღვაში სტრატეგიული უპირატესობა აქვს, ამიტომაა, რომ რუსები ახორციელებენ გენერალ დუმეს დოქტრინას.

– ეს რას ნიშნავს?

– იმას, რომ ისინი ბომბავენ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო ობიექტებსაც. ამ დღეებში მათ დაბომბეს მარიუპოლის თეატრის შენობა. დღეს მარიუპოლში ჰუმანიტარული კატასტროფაა. წყალი და საჭმელი არა აქვთ. ადამიანები შიმშილობენ. ჰუმანიტარული კორიდორებიც არ მოქმედებს. 150 ათასი ადამიანია დარჩენილი.

– უკრაინაში ჩასულ ჰაგის პროკურორს, რომელიც რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე ჩადენილ სამხედრო დანაშაულებს იძიებს, შეახვედრეს საქართველოდან გაქცეული ბრალდებული, ყოფილი გენპროკურორი ადეიშვილი. რატომ ადეიშვილი?

– მეც მიკვირს. ადეიშვილმა, რომელიც თვითონ არის ჯალათი, თვითონ არის ჰააგის ტრიბუნალის განსჯადი სუბიექტი, თვითონ არის დამნაშავე, ჰააგის ტრიბუნალის პროკურორს რა უნდა უთხრას? ეს უნდა ვკითხოთ უკრაინელებს, რომლებმაც ადეიშვილი ჰააგის პროკურორს შეახვედრეს. ეს არის კურიოზული საკითხი – თვითონ ადეიშვილია ჰააგის განსჯადი დამნაშავე, მკვლელი და ჯალათი.

– უკრაინის მთავრობა ასეთ გადაწყვეტილებებს რატომ იღებს?

– არ ვიცი. ეგ ჩვენს ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ. ეტყობა, უკრაინის მხარის დარწმუნება ვერ შეძლეს.

რა უმკაცრესი ახალი სანქციები შეიძლება დაუწესდეს რუსეთს?

„ნუ დააზიანებთ ჩვენს უფლებებსა და ინტერესებს“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში შეჭრილ რუსეთს, რომელიც ახალ-ახალ საბაბს იგონებს თავისი აგრესიის გასამართლებლად და გასაგრძელებლად, შესაძლოა, ახლანდელზე ბევრად უარესი სანქციები დაუწესდეს.

ანტირუსულ ყველაზე მკაცრ სასანქციო დარტყმად განიხილება საზღვაო პორტების ბლოკირება და სრული სავაჭრო ემბარგო.

თუ ვაშინგტონი მოსკოვს ამგვარ შეზღუდვებში მოაქცევს, რუსეთი საპასუხო ზომებით იმუქრება. ამ შემთხვევაში საუბარია გაზისა და ნავთობის ექსპორტის გაჩერებაზე ევროპაში.

როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ევროპამ თავი ვერ დააღწია რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას. მის ჩანაცვლებას დრო და ახალი საცავები სჭირდება. აშშ-მ სრული უარი თქვა რუსული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღებაზე.

მკაცრი სასანქციო დარტყმების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ რუსული ნავთობით დატვირთულ ტანკერებზე ნადირობა გამოცხადდეს საერთაშორისო წყლებში.

რუსეთის უმთავრესი საექსპორტო საქონელი ნავთობია. გარდა ნავთობსადენებისა, რუსეთს ევროპასა და ჩინეთში ნავთობი საზღვაო გზებით გააქვს.

თუ აშშ წავიდა სრულ სავაჭრო ემბარგოზე რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ შეწყდება ბევრისთვის აუცილებელი ურანის, ნიკელის, ალუმინის ექსპორტი.

ექსპერტების აზრით, საზღვაო გზების ბლოკირება მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანს.

სავარაუდო მესამე მსოფლიო ომზე მსოფლიოში კარგა ხანია ლაპარაკობენ. ახლანდელ სიტუაციაში, უკრაინაში მიმდინარე სისხლისღვრისა და ნგრევის ფონზე, ამ თემას ეხება ამერიკელი პოლიტიკოსი, ყოფილი კონგრესმენი რონ პოლი. იგი ეჭვობს, რომ უკრაინაში ომის დამთავრება ბევრს არ უნდა. ასეთები აშშ-ის ხელისუფლებაშიც არიან. კერძოდ, წარმომადგენელთა პალატის ზოგიერთი დეპუტატი მოითხოვს უკრაინის თავზე არასაფრენი ზონის მოწყობას (ამას დიდი ხანია მოითხოვს კიევი).

ამერიკელი პოლიტიკოსის აზრით, არასაფრენი ზონის მოწყობა, ანუ ცის ჩაკეტვა, დაუშვებელია. ეს ნიშნავს მესამე მსოფლიო ომს. მისი შეხედულებით, არ ღირს იმ კონფლიქტის გამწვავება, რომელიც მსოფლიოს ბირთვული განადგურებით ემუქრება.

რონ პოლის დაკვირვებით, აშშ-ის ხელისუფლება არ ესწრაფვის დიალოგს რუსეთთან. მას მოსკოვის სტრატეგიული დამარცხების იმედი აქვს.

უჩვეულო პროცესები ვითარდება ევროპაში. ყველამ იხილა პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვენიის პრემიერების ჩასვლა უკრაინაში და მათი გამოსვლები. ირკვევა, რომ ამ ვიზიტმა ევროკავშირის მაღალჩინოსნები ააფორიაქა.

ამ ვიზიტის თაობაზე ისინი სრულად არ იყვნენ საქმის კურსში ჩაყენებული. პოლონეთის პრემიერი მორავეცკი უკრაინაში თავის მომავალ ჩასვლაზე დაელაპარაკა ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის ხელმძღვანელებს მიშელსა და ლაიენს, თუმცა ისინი ვერ იფიქრებდნენ, რომ ეს ვიზიტი უახლოეს ხანში შედგებოდა. მათთვის არც დანარჩენი სახელმწიფოების პრემიერების ვიზიტზე იყო რაიმე ცნობილი.

ევროკავშირში აცხადებენ, რომ ამგვარი ნაბიჯები უნდა იდგმებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა მათ საგრძნობი პროგრესი მოაქვთ სამშვიდობო პროცესში. ამ ვიზიტს კი, მათი აზრით, რისკები ახლდა.

მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და სხვა პროცესების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის პოზიციას.

ცნობილია, რომ დასავლეთი ჩინეთს ანტირუსულ სანქციებში ჩართვისა და რუსეთთან თანამშრომლობის გაწყვეტისკენ მოუწოდებს.

ამაზე პეკინმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა. ჩინეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის თქმით, თუ აშშ ჩინეთზე ზეწოლას განაგრძობს, ჩინეთი საპასუხო ზომებს მიიღებს.

– ბოლო დროს აშშ გამოდის მთელი რიგი პროვოკაციული განცხადებებით ჩინეთის წინააღმდეგ. ამით ის ახდენს ღრმად გამჯდარი ცივი ომის მენტალიტეტის დემონსტრირებას, – განაცხადა საგარეო სამინისტროს წარმომადგენელმა.

მან მოუწოდა აშშ-ს, არ დააზიანოს ჩინეთის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

– თუ აშშ ჯიუტად განაგრძობს თავის მოქმედებებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აუცილებლად მიიღებს მკაცრ საპასუხო ზომებს. უკრაინის საკითხში ჩინეთი ობიექტური და სამართლიანი მიდგომის ერთგულია. ჩინეთი მუდმივად მოუწოდებს დიალოგისა და მოლაპარაკებებისაკენ, – აცხადებს ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენელი.

ვახტანგ გომელაური: „დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 35.5%-დან 50%-მდე გაუმჯობესდა“

შს მინისტრმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში სამინისტროს ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, 2021 წელსაც გაგრძელდა დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა, რაც გულისხმობს, როგორც პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, ასევე, რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესებას.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში ანგარიშის წარდგენისას, დანაშაულის სტატისტიკაზე საუბრისას აღნიშნა, რომ პანდემიის დასაწყისში, 2020 წელს დაწესებული შეზღუდვების გამო, დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

მისივე თქმით, ლოგიკურია, რომ 2021 წელს, ამ შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, გარკვეულ კატეგორიებში მოსალოდნელი იყო დანაშაულის ზრდა, თუმცა, საერთო ჯამში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არათუ შეძლო შეენარჩუნებინა მიღწეული შედეგი, არამედ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაუმჯობესა 35.5%-დან 50%-მდე.

– ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში სტაბილურად მცირდება ისეთი დანაშაულების რაოდენობა, როგორიც არის ქურდობა. 2020 წელს, წინა წელთან მიმართებაში, დაიკლო 2202 ფაქტით (10%-ით). ქურდობების მაჩვენებელი დაკლებულია 2021 წელსაც, როგორც 2020 წელთან (1031 ფაქტით), ასევე, 2019 წელთან შედარებით (3 233 ფაქტით). ამასთანავე, გასულ წელს ქურდობის გახსნის მაჩვენებელი 22%-დან გაზრდილია 34%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ კიბერდანაშაული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოწვევაა, პოზიტიური ტენდენცია დაფიქსირდა კიბერდანაშაულთან მიმართებით და 2021 წელს ამ ტიპის დანაშაულმა 1029 ფაქტით დაიკლო.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ კერძო სექტორთან (საბანკო და სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებთან) და მივაწოდეთ მთელი რიგი რეკომენდაციები მომხმარებლების დაცვის გაუმჯობესების კუთხით. ასევე განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები კიბერდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით. ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების შედეგად კი, კიბერდანაშაულთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერება გაცილებით ამაღლდა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე განცხადებით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლის 25 აპრილიდან მსუბუქი ავტომობილების, ხოლო 7 ნოემბრიდან სხვა კატეგორიის მართვის

მოწმობის გამოცდის ჩაბარება მოხდება რეალურ პირობებში.

მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის ჩაბარების წესის, პირობებისა და მარშრუტების შემუშავებას.

– 2021 წელს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მომსახურების სააგენტომ დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების ახალი, „ამ“ კატეგორიის მოპედების მართვის მოწმობების გაცემა, რომელიც 28 მარტიდან სავალდებულო გახდება. ამავე თარიღიდან სავალდებულო ხდება მოპედების რეგისტრაცია.

ახალი „ამ“ კატეგორიის თეორიულ გამოცდაზე ერთჯერადად გასვლის დროს მოქალაქეები სრულად თავისუფლდებიან გამოცდის საფასურისგან.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლის 25 აპრილიდან მსუბუქი ავტომობილების, ხოლო 7 ნოემბრიდან სხვა კატეგორიის მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება მოხდება რეალურ პირობებში. სააგენტო უზრუნველყოფს გამოცდის ჩაბარების წესის, პირობებისა და მარშრუტების შემუშავებას.

შესაძლებელი გახდება სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრების შეცვლა მობილური აპლიკაციით, სააგენტოში გამოცხადების გარეშე, დისტანციურად, აგრეთვე შესაძლებელი იქნება სატრანსპორტო საშუალების საბაჟო პროცედურების განხორციელება, როგორიცაა: ექსპორტი, რეექსპორტი და სხვა, ასევე რეგისტრაცია, მათ შორის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

გომელაურის თქმით, საზღვრის ეფექტიანი მართვა წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას და ამ მხრივაც მუდმივად გრძელდება რეფორმები.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გასულ წელს ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშზეც.

– 2021 წელს სამინისტროში შემუშავდა საზღვრის ეფექტიანი მართვისა და შიდაუწყებრივი კოორდინაციის პროექტი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საზღვრის ინტეგრირებული მართვის და სრულყოფილი სისტემის დანერგვა, აგრეთვე საზღვართან დაკავშირებული დანაშაულის შემცირება და პრევენციის მექანიზმის გაუმჯობესება.

პროექტის ფარგლებში, წელს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში შეიქმნა საზღვრის მართვისა და კოორდინაციის დანაყოფი. აღნიშნული სამმართველოს კომპეტენციად განისაზღვრა საზღვრის მართვის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, სასაზღვრო მონიტორინგი, რისკების შეფასება/ანალიზი, აგრეთვე მგზავრთა მონაცემების დამუშავებისა და ოპერატიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გასულ წელს ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოს საზღვრის დაცვის მიმართულებით აღნიშნულია, რომ კარგად ორგანიზებული და მაღალკომპეტენტური საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და სანაპირო დაცვა სათანადოდ უზრუნველყოფენ პირველადი რეაგირების შესაძლებლობებს საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე.

მსგავს ანგარიშებში საქართველოს პოზიტიურ ჭრილში მოხსენიება, ერთი მხრივ, უმნიშვნელოვანესი მოტივაციაა ჩვენი თანამშრომლებისთვის, მეორე მხრივ – ზრდის საქართველოს როლს გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

პროკურორი: „ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულმა მთავარი კითხვები უპასუხოდ დატოვა“

– მთავარი კითხვები, თუ საიდან ჰქონდა ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულს იარაღი, რა იყო განზრახ მკვლელობის კონკრეტული მოტივი, სად გადამალა იარაღი და ვისთან ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით კავშირები, ბრალდებულმა პასუხგაუცემელი დატოვა.

ამის შესახებ ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმის პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, ბრალდებულები პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობენ.

– ბრალდებულისგან რაღაც ფორმით ინფორმაციის მოწოდებას ველოდით. მივიღეთ ის მოცემულობა, რომ ბრალდებული ფაქტობრივად ცდილობს მაქსიმალურად აირიდოს თავიდან პასუხისმგებლობა, მან განმარტება გააკეთა იმ ფორმით, რომ ცდილობს პასუხისმგებლობა თავად აიცილოს და ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ააცილოს მის თანამზრახველს, რომ ქმედებიდან ამორიცხონ წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობა.

ის მტკიცებულებები, რომლებიც გვაქვს საქმეზე წარმოდგენილი, სავსებით სხვაზე მეტყველებს და შესაბამისად, ეს ბრალდებულის მხრიდან უსუსური მცდელობა იყო, მან კითხვებზე პასუხისგან თავი კი არ შეიკავა, არამედ კატეგორიული უარი განაცხადა პასუხებზე, მას საუბარი სურდა როგორც ბრალდების მხარის მოწმეს და, ამავდროულად, პასუხი არ გაეცა ბრალდების მხარის არც ერთი კითხვისთვის. ბრალდების მხარემ ამის უფლება არ მისცა.

მთავარი კითხვები, საიდან ჰქონდა მას იარაღი, რა იყო კონკრეტული მოტივი კვარაცხელიას განზრახ მკვლელობის, სად წაიღო იარაღი, სად გადამალა, ვისთან ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით კავშირები, ბრალდებულმა პასუხგაუცემელი დატოვა იმ იმედით, რომ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანს პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

კითხვაზე, სჯერა თუ არა ბრალდებულის განცხადების, რომლის მიხედვითაც ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა შეკვეთილი არ ყოფილა, პროკურორი პასუხობს, რომ 16 მარტის პროცესზე ჭელიძის მიერ მიცემული ჩვენება „აბსურდია„.

– 6 თვის განმავლობაში ვაფიქსირებ პოზიციას – თუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა, თუ ასეთი მოხდა, რა გარემოებებში და რის გამო ჩაიდინეს აღნიშნული მკვლელობა, ამ საკითხზე უნდა ისაუბროს ბრალდებულებმა.

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში რაიმე ფორმით მონაწილე პირების იდენტიფიცირება-დადგენის მიზნით გამოყოფილია საქმე და გამოძიება მიმდინარეობს. რაც შეეხება ბრალდებულების პოზიციას, 6 თვე ველოდით მათი მხრიდან რაიმე ინფორმაციის მოწოდებას.

გასულ სხდომაზე მოვისმინეთ რა თქვა მეორე ბრალდებულმა, ახლა სხდომაზე მოვისმინეთ სრული აბსურდი. ბრალდებული დამეთანხმა, მე მქონდა იარაღი, მე ვისროლეთ და ეს რა კითხვა არისო, მაგრამ საიდან ჰქონდა, სად წაიღო, არ უპასუხა, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

კომენტარი ნიკო კვარაცხელიას ოჯახის ადვოკატმა პაატა მეხრიშვილმაც გააკეთა.

– ერთი მხრივ, კავილაძემ და, მეორე მხრივ, ჭელიძემ ისიც კი არ აკადრეს საზოგადოებას, რომ საზოგადოებაში არსებულ ყველაზე მწვავე კითხვებზე პასუხი გაეცათ, – განაცხადა მან.

ის 16 მარტის სასამართლო პროცესს გამოეხმაურა, სადაც ერთ-ერთმა ბრალდებულმა აკო ჭელიძემ ბრალდების მხარის კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

– როგორც მოსალოდნელი იყო, ბრალდებულებმა სრულიად ურცხვად ისაუბრეს, თუმცა, რა სირცხვილის გრძნობა მოეთხოვებათ ადამიანებს, რომლებმაც ასეთი ამაზრზენი მკვლელობა ჩაიდინეს შუა ქალაქში. პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის მიზნით, შეთხზეს ლეგენდა და სასამართლოს სრულიად ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს, რომელიც საქმეში არსებულ მტკიცებულებებიდან არ გამომდინარეობდა.

ერთი მხრივ, კავილაძემ და, მეორე მხრივ, ჭელიძემ ისიც კი არ აკადრეს საზოგადოებას, რომ არსებულ ყველაზე მწვავე კითხვებზე პასუხი გაეცათ. ეს ადამიანები იმსახურებენ ერთ რამეს, რომ ისინი მართლმსაჯულებამ სრულიად ადეკვატურად და მკაცრად დასაჯოს იმ დანაშაულისთვის, რომელიც მათ ჩაიდინეს, – განაცხადა მეხრიშვილმა.

ქვემო ქართლში 4 ნარკორეალიზატორი დააკავეს



სამართალდამცავებმა ქვემო ქართლში 4 ნარკორეალიზატორი დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკი.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მარნეულში დააკავეს 4 ნარკორეალიზატორი: 1964 წელს დაბადებული რ.ჩ და წარსულში ნასამართლევები – 1957 წელს დაბადებული ჯ.ნ, 1995 წელს დაბადებული გ.ნ. და 1977 წელს დაბადებული ა.ბ. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას ახდენდნენ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკები.

ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე, ამოღებულია „ჰეროინის“, „კოდეინისა“ და „მორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალებები.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებას გულისხმობს.

წითელ ხიდთან 2002 წლიდან ძებნილი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობისთვის ძებნილი პირი – 1977 წელს დაბადებული ვ.ვ. დააკავეს.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მისივე ცნობით, აღნიშნული პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის 2002 წლიდან იძებნებოდა.

სამართალდამცველებმა ვ.ვ. სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე მსჯავრდებულის სახით დააკავეს.

დაკავებული პენიტენციარულ დაწესებულებაშია გადაყვანილი.

საძაგლიშვილი: „სააკაშვილისთვის წაყენებული ბრალი აბსურდულია“

– ეს სხდომა მიხეილ სააკაშვილის სამშობლოში დაბრუნების საქმეს უკავშირდება. ეს სათაური მრავლისმთქმელია და მიუთითებს ამ ბრალის აბსურდულობაზე.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა 17 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებულ საქმეს სამართლებრივი მხარე არ გააჩნია.

– მოგეხსენებათ, სხდომა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამშობლოში დაბრუნების საქმეს უკავშირდება. ეს სათაური მრავლისმთქმელია და ამ ბრალის აბსურდულობაზე მიუთითებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიხეილ სააკაშვილმა თვითმფრინავის ბილეთი გამოაქვეყნა, რითაც საქართველოში დაბრუნებას აპირებდა, ამის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ პროვოკაციებისა და კონტრაქციების დაანონსება დაიწყო.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მიხეილ სააკაშვილმა, დაბრუნებულიყო იმ ფორმით, რომ არ გაერისკა არავისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, გარდა საკუთარისა.

ამ საქმეს სამართლებრივი მხარე არ გააჩნია. რაც შეეხება სასამართლო სხდომას, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას მიიღებს მიხეილ სააკაშვილი. ის მიმართავს საზოგადოებას. რაც შეეხება იმას, თუ რა მოქმედებები შესრულდება, პროცესზე და ვინ გამოიკითხება, ეს დამოკიდებულია ბრალდების მხარეზე. რაც შეეხება შუამდგომლობას, წინასწარ დაგეგმილი არ გვაქვს, პროცესის მიმდინარეობისას, შესაძლოა, წარმოიშვას, – აღნიშნა საძაგლიშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას ეხება, სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება.

მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო.

აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოს სანაცვლოდ შეეცვალათ.

მელიტოპოლის მერი 9 რუს ჯარისკაცზე გაცვალეს



მელიტოპოლის მერი ივან ფიოდოროვი ტყვეების გაცვლის პროცესის დროს გაათავისუფლეს.

ინფორმაციას უკრაინის სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების ცენტრი ავრცელებს.

მისივე ცნობით, ფიოდოროვი გაცვალეს 9 რუს ჯარისკაცზე, რომლებიც, უკრაინელების ინფორმაციით, 2002-2003 წლებში დაბადებული სამხედრო მოსამსახურეები არიან.

ფიოდოროვი დაკავების შემდეგ ლუგანსკში გადაიყვანეს, სადაც ხუთი დღე გაატარა. უკრაინის სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების ცენტრის ცნობით, მას, სავარაუდოდ, რუსეთთან თანამშრომლობა შესთავაზეს, რაზეც უარი განაცხადა.

– მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა მელიტოპოლელს, რომლებსაც არ შეეშინდათ დაჭერის, რეპრესიებისა და დაკითხვების და იცავდნენ თავიანთ პოზიციას, გამოდიოდნენ მიტინგებზე, დემონსტრაციებზე და ამით ახდენდნენ იმის დეკლარირებას, რომ ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ.

ამის შესახებ ივან ფიოდოროვმა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ჩაწერილ პირველ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

მელიტოპოლის მერმა ასევე მადლობა გადაუხადა მეგობრებსა და ქვეყნის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მისი ინტერესების საერთაშორისო და უკრაინის მასშტაბით

„ჩვენ უკრაინელები ვართ“

არსებულ ყველა პლატფორმაზე დაცვისა და მისი გათავისუფლების დაჩქარებისთვის.

– ჩვენ უკრაინელები ვართ, ჩვენ მელიტოპოლელები ვართ, ჩვენთან ასეა მიღებული – დავიცვათ ჩვენი ინტერესები ხმამაღლა. მინდა, ყველა თქვენგანს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის.

ყოველდღე ვიმყოფებოდი რა ინფორმაციულ ვაკუუმში, იზოლაციაში ყოფნისას ვგრძნობდი, რომ ჩემთვის იბრძოდით. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მეგობარს, რომლებიც იცავდნენ მელიტოპოლელების ინტერესებს, ჩემს ინტერესებს, საერთაშორისო პლატფორმებზე და უკრაინის მასშტაბით არსებულ პლატფორმებზე და გააკეთეს ყველაფერი შესაძლებელი და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, რათა ჩემი გათავისუფლება ძალიან სწრაფად მომხდარიყო.

მადლობა მინდა გადავუხადო უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, რომ ჩემი გათავისუფლება დაჩქარებულიყო. ცოტა მოგვიანებით მოგიყვებით ყველაფერს დეტალურად და, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდთან ერთად ძალიან მალე აღვმართავთ უკრაინულ დროშას მელიტოპოლის ცენტრალურ მოედანზე და ისინი, ვინც ეს დროშა ჩამოხსნა, აღარ იცხოვრებენ ჩვენს მშვენიერ ქალაქში.

დიდება უკრაინას! – განაცხადა მელიტოპოლის მერმა.

ჰააგის სასამართლომ რუსეთს უკრაინაში ომის შეწყვეტა დაავალა

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დააკმაყოფილა უკრაინის მხარის სარჩელი და რუსეთის მხარეს დაავალა, შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები უკრაინაში. გადაწყვეტილება 16 მარტს მიიღეს.

„არსებობს დავა უკრაინასა და რუსეთს შორის. უნდა დადგინდეს, რამდენად ჰქონდა ადგილი გენოციდს დონეცკის ოლქში. უნდა დადგინდეს, მოხდა თუ არა უკრაინის მხრიდან რუსების გენოციდი.

რუსეთის განცხადებები რეალურად სინამდვილეს არ შეესაბამება. პრეზიდენტმა პუტინმა დონბასში არსებულ სიტუაციას საშინელება უწოდა.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, უარი უთხრას რუსეთის ფედერაციას თხოვნაზე, შეწყვიტოს საქმის წარმოება ჰაადგის სასამართლოში.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია იწვევს ადამიანის სიცოცხლის მოსპობასა და მათ სულიერ განადგურებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა შეწყვიტოს სამხედრო ოპერაცია უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც 24 თებერვალს დაიწყო.

სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა შეწყვიტოს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც უკრაინელი ხალხის სიცოცხლის მოსპობას იწვევს“, – ნათქვამია ჰაადგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

დასრულდება თუ არა ომი უკრაინაში, დამოკიდებულია იმ ფაქტზე, დაემორჩილება თუ არა ოფიციალური კრემლი ჰაადგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

აშშ უკრაინას კამიკაძე დრონებს გადასცემს

ამერიკული მედიის ინფორმაციით, აშშ უკრაინას ე.წ. კამიკაძე დრონებს გადასცემს.

ამ ეტაპზე საუბარია უკრაინისთვის 100 დრონის გადაცემაზე, რაც მანამდე ჯო ბაიდენმა დააანონსა.

სამხედრო ექსპერტების თქმით, ამ დრონების 2 სხვადასხვა მოდელი არსებობს. ერთ-ერთი აღჭურვილია ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ჭურვებით. ჯერჯერობით უცნობია, რომელ მოდელს მიიღებს უკრაინის ჯარი.

აღნიშნული დრონების გადატანა ზურგჩანთითაა შესაძლებელი და ტანკთან ან სამხედრო დანაყოფებთან შეჯახებისას მყისიერად ფეთქდება, სწორედ ამიტომ უწოდებენ მათ კამიკაძე დრონებს.

ბაიდენმა პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ვლადიმერ პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა.

– ვფიქრობ, პუტინი სამხედრო დამნაშავეა, – განაცხადა ბაიდენმა.

მანამდე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია იკვლევს, განზრახ ესხმიან თუ არა თავს რუსული სამხედრო ძალები მშვიდობიან მოქალაქეებს.

მარიუპოლის თეატრის ნანგრევებში ხალხი ცოცხალია

16 მარტს რუსი ოკუპანტების მიერ დაბომბილი მარიუპოლის თეატრის თავშესაფარმა დაბომბვას გაუძლო.

იქ მყოფი ასობით ადამიანი ცოცხალია.

ამის შესახებ ოფიციალურმა პირმა გააკეთა კომენტარი.

– თავშესაფარმა გაუძლო, ხალხი ცოცხალია, მიმდინარეობს ნანგრევების გაწმენდა, რათა მოხდეს თავშესაფარში მყოფების ამოყვანა, – განაცხადა მან.

იაპონიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

16 მარტს იაპონიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

წინასწარი მონაცემებით, 6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები კუნძულ ჰონსიუს აღმოსავლეთ სანაპიროსთან 14:34 საათზე დაფიქსირდა, შემდეგ კი, 14:36 საათზე, 7.4 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქართველოსა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრებმა ბათუმში პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ძეგლი გახსნეს

– ჩვენ შევიკრიბეთ, რათა სამუდამოდ უკვდავვყოთ ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, საქართველოს ეროვნული გმირის, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის სახელი, მისი ნათელი ხსოვნა.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბათუმში, ახალ ბულვარში 17 მარტს განაცხადა, სადაც პოლონელ კოლეგა მათეუშ მორავიეცკისთან ერთად, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ძეგლი გახსნა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტი კაჩინსკი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

– იგი ხმამაღლა მოუწოდებდა დასავლელ ლიდერებს, უფრო მკვეთრი და თამამი გადაწყვეტილებები მიეღოთ ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტი კაჩინსკი ჩამოფრინდა თბილისში, რათა მხარი დაეჭირა ჩვენი სუვერენიტეტისათვის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. დღეს, ევროპის კონტინენტზე მიმდინარე უმძიმესი მოვლენების დროს, ყველას გვახსენდება მისი გაფრთხილება ევროპელი ლიდერებისადმი, რომ თუ წინ არ აღუდგებოდნენ საქართველოსადმი აგრესიას, მომავალში უკრაინისა და სხვა ქვეყნების ჯერი დადგებოდა. მისი ტრაგიკული, უდროო გარდაცვალება ჩვენმა ხალხმა ისევე განიცადა, როგორც მოძმე პოლონელებმა. ლეხ კაჩინსკის ხსოვნის უკვდავყოფით ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას, მადლიერებას მისდამი და ამავე დროს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიულ არჩევანს, ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში. დიდება ჩვენს გმირებს! – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ღირებულებებზე ისაუბრა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა.

მათეუშ მორავიეცკიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ძეგლის გახსნისა და პრეზიდენტ კაჩინსკის ხსოვნის პატივისცემისთვის მადლობა გადაუხადა.

– თითქმის 14 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, თავის პატარა მეზობელ ქვეყანას თავს დაესხა. ლეხ კაჩინსკი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, მაშინვე გამოხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და 2008 წლის 12 აგვისტოს უკრაინის და ბალტიისპირეთის ქვეყნების პრეზიდენტებთან ერთად საქართველოს მხარდასაჭერად ჩამოვიდა და პატივი სცა საქართველოს თავისუფალ არჩევანს, საქართველოს მამაც ხალხთან დაამტკიცა, რომ საქართველოს სურს დამოუკიდებლობა და ალბათ, ამიტომაც გახდა რუსეთის იმპერიის პირველი მტერი. ძალიან დიდი მადლობა ქართველ მეგობრებს, რომლებსაც ეს ქმედება, ჟესტი. დიდმა პოლიტიკოსებმა უნდა ამოიცნონ არა მარტო ის მიმართულებები, რომელიც გარშემო ხდება და აუცილებლად უნდა დაარქვან ამ მოვლენებს სახელი, პირველ რიგში მათ უნდა ჰქონდეთ იმის სიმამაცე, რომ მიიღონ სწორი გადაწყვეტილება და პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ამის უნარი ჰქონდა, დროულად იღებდა სწორ გადაწყვეტილებებს, – განაცხადა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა.

მათეუშ მორავიეცკიმ, სიტყვით გამოსვლისას, ასევე ხაზი გაუსვა ქართულ-პოლონური მეგობრობის სიძლიერეს და პრეზიდენტ კაჩინსკის როლს ამ მიმართულებით.

– დიდი მადლობა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, ამ ძეგლის აქ გახსნის შესაძლებლობისთვის. ქართულ-პოლონური მეგობრობა არის ძლიერი, რუსეთის აგრესიის გამო დღეს არსებული ეგზისტენციური საფრთხეების მიუხედავად. დიდი მადლობა ყველას. ის გაკვეთილები, ის გაფრთხილება, რომელიც ჩვენ, თაობებს დაგვიტოვა ლეხ კაჩინსკიმ და მისი რწმენა, იმ ურთიერთობისა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ერებს ერთმანეთთან, უნდა გვახსოვდეს და ეს სიტყვები გვიჩვენებდნენ სწორ გზას საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობებში. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნების ურთიერთმხარდაჭერამ შესაძლოა ძალიან დიდი როლი ითამაშოს ევროპაში, – აღნიშნა მათეუშ მორავიეცკიმ.

ლევან მაისაშვილი: „რუმინეთთან დაშვებული შეცდომები ესპანეთთან არ უნდა გავიმეოროთ“

20 მარტს „დინამო არენაზე“ საქართველოს ნაკრები 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის არაოფიციალურ ფინალში ესპანეთს მასპინძლობს. მომავალი შეხვედრისთვის, რომელიც 18 საათზე დაიწყება, გუნდში გარკვეული ცვლილებები იქნება.

„ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა, ჯერ ბუქარესტში რუმინეთთან (26:23) მოგებული მატჩი შეაფასა, შემდეგ კი მომავალ უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებაზე ისაუბრა.

ლევან მაისაშვილი:

– რუმინეთთან გასვლით შეხვედრაში გამარჯვებას ვგეგმავდით და მიზანს მივაღწიეთ, რაც ძალიან კარგია, თუმცა არ იყო მარტივი თამაში. ამას ველოდით, რადგან რუმინეთისთვის გამარჯვება ბოლო შანსი იყო, რეპეშაჟის გვერდის ავლით მოხვედრილიყო მსოფლიო თასზე. ის საკმაოდ კარგი გუნდია და საკუთარი პროგრესი ზაფხულში, არგენტინასთანაც დაამტკიცა (17:24). მათი მოთამაშეები ფიზიკურად მძიმეები არიან და ზუსტად ვიცოდით რას დაგვიპირისპირებდნენ. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ კომპონენტებში გაგვჭირდა.

კრიტიკას ვერ უძლებდა შეჯგუფებებში თამაში – რაქშიც, მოლშიც და შერკინებაშიც პრობლემები გვქონდა, რაც ძალიან საწყენია, რადგან მზადების პროცესში სწორედ ამაზე ვაკეთებდით აქცენტს. ველოდებოდით, რომ რუმინეთი სწორედ ძალისმიერ თამაშში ეცდებოდა უპირატესობის მოპოვებას და ვემზადებოდით, მაგრამ საბწუხაროდ, უპირატესობის მოპოვება ვერ მოვახერხეთ. ვეცდებით შემდეგი თამაშისთვის ამ არეალში უკეთესები ვიყოთ.

გვქონდა ინდივიდუალური პრობლემებიც. ტექნიკური წუნის გამო რამდენჯერმე პირველი ბურთი ვერ ავიღეთ. როგორც წესი, ამ მოთამაშეებს მსგავს სიტუაციებში ასეთი შეცდომები არ მოსდით ხოლმე, თუმცა ხანდახან ასეც ხდება. ბევრი ჯარიმა ავიღეთ, რაც გარკვეულწილად იმით იყო განპირობებული, რომ შეჯგუფებებში მეტოქემ პრობლემები შეგვიქმნა და 20 წუთი კაცნაკლულები ვიყავით. გვქონდა 3 საწყენი ჯარიმა. ეს არ იყო ის ეპიზოდები, როდესაც მეტოქემ კაცნაკლულობისა თუ დომინაციის შედეგად წნეხში მოგვაქცია. უკვე ტრადიციად ვაქციეთ და როგორც რუმინეთთან, ასევე ესპანეთთან მატჩის წინ, ნიკა ამაშუკელი შეკრებაზე ჩვენთან ერთადაა და დიდ სამუშაოს ვატარებთ, მაგრამ, ფაქტია, ემოცია ჯერ კიდევ ჭარბობს.

სამწუხაროდ, მსაჯი, რომელიც ამ თამაშზე იყო დანიშნული წინა დღეს შეიცვალა – დანიშნეს 7-კაცას უელსელი მსაჯი, რომელსაც 15-კაცა რაგბში გამოცდილება არ ჰქონდა და ამან მატჩის მსვლელობას კვალი დაატყო. მიმაჩნია, რომ ყვითელი ბარათი ორივე შემთხვევაში ზედმეტი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ უნდა შევძლოთ მსგავსი სიტუაციების პრევენცია. 20 წუთით კაცნაკლულად თამაშმა ჩვენზე დიდი გავლენა იქონია, განსაკუთრებით მეორე ყვითელმა, როდესაც მოედანზე 9 ნომრის გარეშე დავრჩით. ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში მოვახერხეთ მობილიზება, მეტოქეს არ მივეცით მეტობის გამოყენების შესაძლებლობა და პირიქით, ორივე შემთხვევაში იქით შევძელით ლელოს გატანა.

გვქონდა აღდგენა, რის შემდეგ ძირითად ვარჯიშებზე გადავედით. გვაქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მცირე პრობლემები. თორნიკე ჯალაღონიას ტრავმები გაუმიზზდა და დადასტურებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესპანეთთან დაგვაკლდება. გამოჯანმრთელდნენ და დაგვიბრუნდნენ ოთარ გიორგაძე და ბექა გორგაძე. გუნდში არის მცირე ტრავმები, მაგრამ, იმედს ვიტოვებ, რომ თამაშისთვის ყველა მზყობრში იქნება.

გაფართოებულ შემადგენლობაში აღარაა ნიკო აფციაური. 2 ფრონტზე გვიწევს მუშაობა, რადგან შავი ლომი ქარი ქაფისთვის ემზადება. პირველ ეტაპზე, რომელიც 3 თამაშს მოიცავს, გუნდს ნაკრების რამდენიმე მორაგბე გამოაკლდება. სამხრეთ აფრიკაში შიდა ჩემპიონატისა და 20-წლამდელებით შევსებულ გუნდს ლადო კილასონია წაიყვანს, რის შემდეგაც შავი ლომი შინ დაბრუნდება და რაგბი ევროპის სუპერ თასის ნახევარფინალს ვითამაშებთ. დატვირთული და საინტერესო კალენდარი გვაქვს და ნიკოს პირველ ეტაპზევე მოუწევს გუნდთან ერთად გამგზავრება. ნახევარფინალის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში უკვე სრული შემადგენლობით დავბრუნდებით.

2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე კი, ესპანეთთან ფაქტობრივად ფინალი, განსაკუთრებული შეხვედრა გვექნება. მეტოქე მსოფლიო თასზე უკვე გავიდა და ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ითამაშებს. ის თბილისში მოსაგებად ჩამოვა, რადგან დასაკარგი არაფერი აქვს. კარგად გვესმის, რომ ამ ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე რთული მატჩი გველის, რადგან ესპანეთი დაბალანსებული გუნდია, როგორც ძალისმიერი, ასევე ტექნიკური კუთხით და სრული მონდომებით ვემზადებით.

საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ვთამაშობთ და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თავი კარგად წარმოვაჩინოთ. ასევე გამოვასწოროთ ის ხარვეზები, რაც განვლილ შეხვედრებში გვქონდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოვიგოთ 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი, ამისათვის კი ესპანეთთან მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

16 მარტი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

იუვენტუსი-ვილიარეალი	0:3
ლილი-ჩელსი	1:2

ინგლისი. ჰემპიერლიგა

ბრაიტონი-ტოტენჰემი	0:2
არსენალი-ლივერპული	0:2

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	29	22	4	3	68-18	70
2.ლივერპული	29	21	6	2	75-20	69
3.ჩელსი	28	16	8	3	57-19	59
4.არსენალი	27	16	3	8	43-31	51
5.მანჩესტერი	29	14	8	7	48-40	50
6.ვესტ ჰემი	29	14	6	9	48-36	48
7.ტოტენჰემი	28	15	3	10	44-35	48
8.ვულვზი	29	14	4	11	29-23	46
9.ასტონ ვილა	28	11	3	14	41-39	36
10.საუთჰემპტონი	29	8	11	10	36-45	35
11.კრ.პალასი	29	7	13	9	39-38	34
12.ლესტერი	26	9	6	11	40-45	33
13.ბრაიტონი	29	7	12	10	26-36	33
14.ნიუკასლი	28	7	10	11	32-48	31
15.ბრენტფორდი	29	8	6	15	32-45	30
16.ლიდსი	29	6	8	15	31-65	26
17.ევერტონი	26	6	4	16	28-47	22
18.უოტფორდი	29	6	4	19	29-55	22
19.ბარნლი	27	3	12	12	22-38	21
20.ნორვიჩი	29	4	5	20	18-63	17

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექპული-შეფილდი	0:0
კარდიფი-სტოკი	2:1
ქოვენთრი-ჰალი	0:2
ლუთონი-პრესტონი	4:0
მილუოლი-ჰადერსფილდი	2:0
ნოტინგემი-ქარ	3:1
პიტერბრო-სუონსი	2:3

გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-დორტმუნდი	0:1

სატუნინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	26	19	3	4	77-28	60
2.დორტმუნდი	26	18	2	6	66-37	56
3.ლეიფციგი	26	13	6	7	64-41	45
4.ლაიფციგი	26	13	5	8	57-30	44
5.ფრაიბურგი	26	12	8	6	43-29	44
6.ჰოფენჰაიმი	26	13	5	8	49-37	44
7.კიოლნი	26	10	9	7	37-39	39
8.უნიონი	26	10	8	8	33-34	38
9.აინტრახტი	26	10	7	9	39-38	37
10.მაინცი	25	10	4	11	35-30	34
11.ბოხუმი	26	9	5	12	28-37	32
12.ვოლფსბურგი	26	9	4	15	29-40	31
13.გლადბახი	26	8	6	12	36-51	30
14.აუგსბურგი	25	6	8	11	27-41	26
15.არმინია	26	5	10	11	22-34	25
16.შტუტგარტი	26	5	8	13	32-48	23
17.ჰერტა	26	6	5	15	26-60	23
18.ფიურტი	26	3	5	18	24-70	14

იტალია. სერია ბ

ასკოლი-პიზა	2:0
კრემონეზე-პორდენონე	2:1
პერუჯა-სპალი	1:1

ვილი სანიოლი: „მთავარი ამოცანა ივნისში გვაქვს გადასაჭრელი“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2022 წელს ამხანაგური მატჩებით იწყებს. ვილი სანიოლის გუნდი 25 მარტს სტუმრად ბოსნია-ჰერცეგოვინას ეთამაშება, ხოლო 29 მარტს ტირანაში ალბანეთს შეხვდება.

ნაკრები 21 მარტიდან ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში შეიკრიბება. ამხანაგური თამაშებისთვის მოსამზადებლად საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ეროვნულ გუნდში 23 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის ერთი დებიუტანტია – თბილისის დინამოს 20 წლის ნახევარმცველი ანზორ მექვაბიშვილი.

მოახლოებული მატჩების წინ ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ისაუბრა.

ვილი სანიოლი:

– ჩვენ ორივე მატჩს სტუმრად ვატარებთ. გასულ შემოდგომაზე ვნახეთ, რომ სტუმრად თამაში კარგად შეგვიძლია. გუნდში შეიმჩნევა პოზიტიური დინამიკა. ჩემი ამოცანაა, გუნდში ეს დინამიკა მარტიდან ივნისამდე შევინარჩუნო. იმედი მაქვს, რომ ყველა მოთამაშემ უკვე იცის, რა არის ჩემთვის მნიშვნელოვანი მოედანზე. ეს პირველ რიგში დისციპლინაა. ბოლო რამდენიმე მატჩში გუნდმა საკმაოდ კარგი დისციპლინა გამოავლინა და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება. სხვანაირად ვერ მივაღწევთ წარმატებას. წელს ჩვენ წარმატებით გვსურს ერთა ლიგაზე გამოსვლა, ამისთვის კი მომზადებაა საჭირო. არ არის საკმარისი, ივნისში შეკრებაზე გამოვცხადდეთ და ვთქვათ – მოდი, დისციპლინითა და გუნდური სულისკვეთებით ვითამაშოთ. ასე არაფერი გამოვა. საჭიროა მომზადება და მარტის თამაშები სწორედ ამისთვის არის განკუთვნილი.

ამხანაგური მატჩი საშუალებას გვაძლევს, სიახლეები შემოვიტანოთ და ახალ ფეხბურთელებს დავაკვირდეთ. აქ უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა, ვიდრე შედეგი. ნოემბერთან შედარებით გუნდში საკმაოდ ბევრი ცვლილება იქნება. ეს არ არის ჩემი სურვილი, მაგრამ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მიწევს მოქმედება. ფეხბურთელები ზოგჯერ კარგ ფორმაში არ იმყოფებიან. ვინც გამოძახებულია, მაქსიმალურად მოტივირებული იქნებიან ამ ორი მატჩისთვის, რომელიც ჩვენ ივნისის შეხვედრებისთვის მომზადების საშუალებას მოგვცემს.

რა თქმა უნდა, ჯაბა კანკავა გუნდის კაპიტანი და ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მადლიერი ვართ იმისთვის, რაც ამ 15 წლის განმავლობაში ნაკრებისთვის გააკეთა. ჯაბამ საბაკრებო კარიერა დაასრულა. ადრე თუ გვიან ამის გაკეთება ყველას მოუწევს და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. ასეთი ხანგრძლივი კარიერის შემდეგ მნიშვნელოვანია ისეთ დროს წასვლა, როდესაც ჯერ კიდევ მაღალ დონეზე თამაშობ, რათა შეინარჩუნო იმიჯი და მაყურებელს დაამახსოვრდე, როგორც დიდი მებრძოლი და კაპიტანი. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ ერთი წლის განმავლობაში მასთან მუშაობა.

ჩვენ რამდენიმე სხვა ფეხბურთელიც დაგვაკლდება. დავით ხოჭოლავას ოჯახს უშუალოდ შეეხო მიმდინარე ომი. ჩვენ გვესმის, რომ ფეხბურთს სრულ ყურადღებას ვერ უთმობს. ხშირად ვუკავშირდები და ჩემს სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ. მისთვის ეს რთული სიტუაციაა და გვერდში უნდა დავუდგეთ. დარწმუნებული ვარ, ის გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვეულებრივ განაახლებს თავის კარიერას.

ჩვენ ასევე დაგვაკლდება გიორგი ჩაკვეტაძე. უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან რთული პერიოდი აქვს გამოვლილი. ახლა მისი მთავარი პრიორიტეტია ფიზიკური მონაცემების აღდგენა, რათა კვლავ ჩადგეს ფეხბურთელისა და სპორტსმენისთვის შესაფერის ფორმაში, ყოველ 3-4 დღეში ერთხელ შეეძლოს 90 წუთი თამაში.

ჩვენ ბოლო პერიოდში მის კლუბთან მუდმივი კონტაქტი გვქონდა და ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ ფეხბურთელს კონდიციების აღდგენა ესაჭიროება. ივნისში 4 მატჩის ჩატარება გვიწევს და სრულად გამოჯანმრთელებული გიორგი ჩაკვეტაძე გვესაჭიროება. ივნისში ამისი იმედი გვაქვს.

მოგეხსენებათ, ირაკლი აზაროვმა უზბეკეთთან შეხვედრაში წითელი ბარათი და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. გადავწყვიტე, მეორე თამაშზეც არ გამომეძახებინა. მან

უნდა გააცნობიეროს, რომ მოედანზე გარკვეული სახის საქციელი მიუღებელია როგორც ამხანაგურ, ისე ოფიციალურ მატჩებში. წინა შემოდგომაზე მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი მისი თამაშით. შარშან უკვე ჰქონდა წინსვლა და იმედი მაქვს, რომ ეს მომავალ თვეებშიც ასე იქნება. თუმცა, ჩემი პასუხისმგებლობაა მას ვაჩვენო, რის გაკეთება არ შეიძლება ფეხბურთში. ვფიქრობ, რომ ირაკლი ამას ისწავლის და ეს ეპიზოდი სამომავლოდ დაეხმარება.

სამაგიეროდ, ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი დაუბრუნდა, ასევე, რამდენიმე ახალი დაემატა. ერთ-ერთი მათგანია მექვაბიშვილი. მას 12 თვეა, თვალს ვადევნებთ და სტაბილურად თამაშობს თბილისის დინამოში. ნაკრებიდან ჯაბა კანკავას წასვლის შემდეგ ლოგიკური იყო ახალი ფეხბურთელების გამოძახება. მექვაბიშვილმა თავისი შესაძლებლობების დამტკიცების ეს შანსი დაიმსახურა. მთავარია, თავდაჯერებით შემოგვიერთდეს და ისწავლოს ისეთი გამოცდილი ფეხბურთელებისგან, როგორებიც არიან კვეკვესკირი, გვილია და აბურჯანია. დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ერთ-ერთი წამყვანი იქნება და ნაკრებს დაეხმარება.

ჩვენ სხვა ფეხბურთელებიც გვაკლია, მაგალითად, გიორგი ქვილითაია, რომელიც ბოლო რამდენიმე თვეა, ძალიან კარგ ფორმაში იმყოფებოდა და ბევრი გოლი გაიტანა. მიხაროდა, რომ წინსვლა დაეტყო და ეფექტურად თამაშობდა. ახლაც სიამოვნებით გამოვიძახებდი, მაგრამ ბოლო 2-3 კვირის განმავლობაში გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს და მხოლოდ მედიკამენტების დახმარებით ატარებს თამაშებს, რაც მისი ჯანმრთელობისთვის სამომავლოდ დიდ რისკს წარმოადგენს. გიორგის ვუთხარი, რომ პირველ რიგში საკუთარ სხეულზე უნდა იფიქროს, გამოჯანმრთელდეს, ტკივილი აღარ იგრძნოს. დარწმუნებული ვარ, ივნისში ისიც დაგვეხმარება.

რაც შეეხება თორნიკე ოქრიაშვილს, ბოლო პერიოდში კოჭი და მყესი აწუხებდა. ეს იმისი ნიშანია, რომ მას დასვენება და აღდგენა ესაჭიროება, რათა შემდგომ სრული დატვირთვით შეძლოს ვარჯიში და თამაში. შარშან ჩვენ ვნახეთ, რომ ნაკრებს იმ შემთხვევაში დაეხმარება, თუ სრულიად ჯანმრთელი იქნება. ჩვენ ფეხბურთელებს დასვენებისა და აღდგენის შესაძლებლობას ვაძლევთ, რათა კარგ ფორმაში დაგვიბრუნდნენ, – თქვა სანიოლმა.

საქართველოს ნაკრები უახლოესი მატჩებისთვის ასეთი შემადგენლობით მოემზადება.

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე (დინამო ბთ), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), სოლომონ კვერკველია (მეტალისტი, უკრაინა), დავით კობოური (კარვინა, ჩეხეთი);

ნახევარდაცვა: საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ);

თავდასხმა: გიორგი ბერიძე, ბუდუ ზივზივაძე (ორივე უიპუშტი, უნგრეთი), დავით ვოლკოვი (ზირა, აზერბაიჯანი), ვაკო ყაზაიშვილი (ჰიუნდაი, ს.კორეა).

ჩემპიონთა ლიგის ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია

იუვენტუსი-ვილიარეალი 0:3

ტურინი. ალიანც სთედიუმი

0:1 მორენო (78ჯ), 0:2 ტორესი (85), 0:3 დანჯუმა (90ჯ)

იუვენტუსი: შჩესნი; დანილო, დე ლიხტი, რუგანი (დიბალა 79), დე შილიო; ლოკატელი (ბერნარდესკი 83), არტური, რაბიო; კუადრადო, ვლაჰოვიჩი, მორატა (კინი 85)

ვილიარეალი: რული; ორეე, ალბიოლი, ტორესი, ესტუპინიანი; პინო (ჩუკვუეზე 65), პარეხო (პედრასა 86), კაპუ, ტრიგეროსი (კოკელინი 64); ლო ჩელსო (მორენო 74), დანჯუმა

იუვენტუსისა და ვილიარეალის საპასუხო მატჩი უფრო დაძაბული გამოდგა, ვიდრე პირველი, რომელიც ესპანეთში 1:1 დასრულდა.

ტურინელებს საკადრო პრობლემები კი ჰქონდათ, მაგრამ მეტოქის კარისკენ თავიდანვე გაიწიეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. თუმცა, ხან მეკარე ყოჩაღობდა, ერთხელ კი ბურთი ხარიხასაც მოხვდა.

ვილიარეალი ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ უნაი ემერმა ცვლილებებით საკუთარი გუნდის თამაში გამოაცოცხლა, რასაც ვერ ვიტყვით მასიმილიანო ალეგრიზე, რომელმაც ცვლილებებს მხოლოდ მატჩის ბოლოს მიმართა, როდესაც თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

ვილიარეალმა ერთი რომ გაიტანა, შემდეგ თამაში ბევრად უფრო გაუმარტივდა. პირველი გოლი კოკელინის მოპოვებულ პენალტს მოჰყვა – 11 მეტრიდან მორენომ ზუსტად დაარტყა. მეორედ ვილიარეალმა კუთხურიდან იხეირა, ხოლო იუვენტუსი ბეჭებზე დანჯუმამ დასცა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ხერონიმო რული.

მართალია, ვილიარეალმა გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო, მაგრამ, სანამ გაიტანდა, მანამდე გუნდს კომფორტული ანგარიში მეკარემ შეუნარჩუნა. რულიმ იმდენჯერ გადაარჩინა თავისიანები, რომ ვილიარეალის გატანილი გოლები საქმეს არ ეყოფოდა.

ლილი-ჩელსი 1:2

ლილი. სტად პიერ მორო

1:0 ილმაზი (38), 1:1 პულიშიჩი (45), 1:2 ასპილიკუეტა (71)

ლილი: ჟარდიმი: ჟოზე ფონტე, ბოტმანი (ონანა 58), ჯალო; ჩელიკი (ვეა 58), ბამბა (გომესი 77), ქსეკა, ანდრე, გუდმუდსონი (ბრადარიჩი 77); ილმაზი, დავიდ (ბენ არფა 77)

ჩელსი: მენდი, კრისტენსენი, ტიაგო სილვა, რიუდიგერი, ალონსო, ასპილიკუეტა, კანტე, ჟორჟინიო (ლოფტუს-ჩეკი 74), კოვაჩიჩი (მაუნთი 46), ალონსო, ჰავერტცი (ზიეში 83), პულიშიჩი (პულიშიჩი 74)

ლონდონის ჩელსიმ, რომელსაც რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის გამო სანქციები ადევს, ლილს ორი მატჩის ჯამში იოლად მოუგო. თუმცა, კონკრეტულად მე-2 შეხვედრა იოლი ნამდვილად არ გამოდგა.

ლილმა აქტიურად დაიყო თამაში და ჩელსი ძირითადად დაცვის ორგანიზებით იყო დაკავებული. ტომას ტუხელის გუნდი რამდენიმეჯერ გადარჩა, მაგრამ 38-ე წუთზე ილმაზის გატანილი პენალტით მასპინძლებმა სიტუაცია დაძაბეს. ლილს კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს პულიშიჩმა გაათანაბრა. ეს იყო ერთადერთი მომენტი, რომელიც ჩელსიმ პირველ ტაიმში შექმნა.

შესვენების შემდეგ ლილმა ისევ გასატანად გაიწია, ძელსაც მოარტყა ბურთი, მაგრამ ძალები აღარ ეყოთ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასპილიკუეტამ ფრანგებს მეორედ გაუტანა. ამის შემდეგ ლილს უკვე 3 გოლი სჭირდებოდა, რაც შეუძლებელი ჩანდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სესარ ასპილიკუეტა.

არც ერთი გუნდიდან შემტევები არ იყვნენ გამორჩეულნი. შედეგად, საუკეთესოდ ის ფეხბურთელი მივიჩნიეთ, რომელიც დაცვაშიც ჩინებულად ასრულებდა საკუთარ მოვალეობას და ბოლოს გამარჯვების გოლიც გაიტანა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ბექა!

როგორ ჩუმად, უხმაუროდ წახვედი ამქვეყნიდან, ჩემო მხიარულო, სიცოცხლით სავსე ბიჭო! როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ღია კარიდან მომაძახე: „დე, წავედი!“. წახვედი და აღარც დაბრუნებულხარ... ბავშვობიდან უშიშარს, გეგონა, არაფერი მოგერეოდა, მაგრამ ბედისწერას ვერ გაექეცი. იმ დღეს დამთავრდა ჩემი ცხოვრებაც. რა არის ჩემი ყოფა უშენოდ. შენმა უდროოდ წასვლამ ამქვეყნიდან უიმედო, გამწარებული, ცრემლიანი გახადა ჩემი სიცოცხლე. შენ, ერთადერთს, შემოგნატროდი!..

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო! ღმერთმა ნათელში ამყოფოს წუთისოფელს განშორებული, ზეცად ამაღლებული შენი სული!

დედა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თვალის დაავადება, მხედველობის გაორება; 2. ლამაზი, მოხდენილი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კამათის, პაექრობის ხელოვნება; 4. ამერიკული სიგარეტი; 7. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. მდინარე ჩინეთში; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 6. ქართველი სუმოისტი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედროსაზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 18. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 22. მთავრობის წევრი; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ლეგრანი; 2. ლეკები; 3. ლაზარეთი; 4. რიტორიკა; 7. გარპაგონი; 8. კვარიათი; 12. აბრეშუმი; 14. კვესტურა; 16. გეიზერი; 17. ბაღდათი; 19. იდეა; 20. გოია.

თარაზულად: 5. ცერცვაძე; 6. ბრაუნინგი; 9. ბალბოა; 10. ბუკერი; 11. ვაშლი; 13. ებქანი; 15. ღვინიო; 18. ჰერში; 21. კურლანდია; 22. ეიფორია; 23. კანტონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ენოლოგია; 2. ლეონი; 3. აპელაცია; 4. ყოჩები; 7. გიუმი; 9. ნივეა; 12. ესკალატორი; 14. ფიორდი; 15. ფეიქარი; 17. მანდატი; 20. ნეონი.

თარაზულად: 5. ინტერესი; 6. სოპრანო; 8. სანაცია; 10. დემენცია; 11. ფიქცია; 13. ანანასი; 16. კარაბინი; 18. წაბლი; 19. აიეტი; 21. ბერდია; 22. ერდოღანი; 23. პოსტერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2209

ევრო — 3.5549

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2442

100 რუსული რუბლი — 3.0748

ამინდის პროგნოზი 18 მარტისათვის

მარკო ასენსიომ, შესაძლოა, მადრიდის რეალი დატოვოს

მადრიდის რეალი ზაფხულში რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და ამისთვის ფული სჭირდება, ამიტომ, შესაძლოა, რეალი რამდენიმე ფეხბურთელს შეელიოს, მათ შორის მარკო ასენსიოს, რომელსაც კონტრაქტი 2023 წელს ეწურება.

ასენსიო ჯერჯერობით ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს და ამის მიზეზი ის არის, რომ ის გუნდში თავისი მდგომარეობით ბოლომდე კმაყოფილი არ არის.

ჰოლანდის მომავალი გაურკვეველია

დორტმუნდის ბორუსიის ფორვარდ ერლინგ ჰოლანდის მომავალი კვლავ გაურკვეველია, რადგან, შესაძლოა, მან გუნდში დარჩენა გადაწყვიტოს, თუმცა მისი შეძენით რეალი და ბარსელონა ინტერესდებიან.

თუ ჰოლანდმა ბორუსიის დატოვება განიზრახა, მაშინ მას გადაწყვეტილების მიღება მოუწევს და ეს გადაწყვეტილება იოლი არ იქნება.

თვითონ ნორვეგიელი ფორვარდი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

მესი პსჟ-დან წასვლას არ აპირებს

რამდენიმე კვირის წინ ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მესის, შესაძლოა, პსჟ დაეტოვებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან თვითონ ლეომ განაცხადა, რომ მომავალ სეზონსაც პარიზულ გუნდში გაატარებს.

მესის თქმით, მალე ჩადგება ოპტიმალურ ფორმაში და შეეცდება, თავის გუნდს მაქსიმალურად დაეხმაროს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მარგო ლუჩკო ტელეეკრანს უბრუნდება



ტელეწამყვანი მარგო ლუჩკო რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ტელეეკრანს უბრუნდება.

იგი ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ჩემი ოჯახის“ გუნდის წევრი ხდება და მისი ნახვა მაყურებელს ყოველ შაბათ-კვირას შეეძლება.

ინფორმაცია ინტერნეტით მან თავად გაავრცელა:

– ჩემი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა. გავხდი ჩემი საყვარელი ტელეარხის ტელეწამყვანი და ჟურნალისტი! დავუბრუნდი ეკრანს!

ერთხელ 2015-ში არაადეკვატური მენეჯერის გამო მომიწია ტელევიზიიდან წასვლა, მაგრამ ეს წარსულია. საბედნიეროდ, ახლა ახალგაზრდა და გამოუცდელი კი არა, წარმატებული პროფესიონალი ვარ.

ასტროპროგნოზი

18 მარტისათვის

ვერძი – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი პენსიონერი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს ჩვენ ბავშვობაში რამდენს ვიცინოდით მულტფილმ „აბა დამაცადეში“ მგელი საკუთარ თავს რომ უღებდა სურათებს?

– ჰო და მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სელფი ასეთი პოპულარული გახდებოდა.

●●●

ქმარი ცოლს:
– ძვირფასო, გძინავს?
– არა.
– მშია, საჭმელი მინდა.
– მძინავს.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

– აბა გიგი, თუ შეგიძლია მომიყვანე იმის მაგალითები, თუ როგორ დამანგრეველ ზეგავლენას ახდენს ალკოჰოლი ადამიანის ორგანიზმზე.

– როგორც ვატყობ, ისევ მშობლების მოყვანა მომიწევს სკოლაში?!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– წავიდეთ, ვჭამოთ.
– ღამის სამი საათია.
– შე შობელძაღლო, მე რა, შენ დრო გკითხე?

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ჩვენი პატარა კუ სად არის?
– ეზოშია ბავშვებთან ერთად... კაკალს ამტვრევენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლანა ღოღობერიძის „ოქროს ძაფს“ იაპონიაში აჩვენებენ

რეჟისორ ლანა ღოღობერიძის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს, „ოქროს ძაფს“, იაპონიაში აჩვენებენ. მთლიანობაში, ქართველი რეჟისორის ნამუშევარი იაპონიის 30 კინოთეატრში იქნება წარმოდგენილი.

ფილმმა იაპონელი მაყურებლისა და კინოკრიტიკოსების დიდი მოწონება უკვე დაიმსახურა. იაპონიაში გამოსვლის პირველივე დღეს „ოქროს ძაფი“ 300-მა მაყურებელმა ნახა, რაც, პანდემიის პერიოდის გათვალისწინებით, ძალიან კარგი მაჩვენებელია. ჩაიწერა ინტერვიუები ფილმის რეჟისორ ლანა ღოღობერიძესთან, რომელსაც დიდი ინტერესით ეცნობიან იაპონიაში.

„ოქროს ძაფი“ ლანა ღოღობერიძის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. იგი რეჟისორმა 2019 წელს გადაიღო. ფილმი საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა და მისი პრემიერა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ნანა ჯორჯაძე, გურანდა გაბუნია, ზურა ყიფშიძე, დათო კვირცხალია, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო კირთაძე, მარიტა ბერიძე.

ტოკიოში 15 აპრილამდე დღეში ლანა ღოღობერიძის „ოქროს ძაფის“ ოთხი სეანსი იქნება ნაჩვენები.

ლიზა ბათიაშვილმა გერმანიაში უკრაინელებისთვის აქცია-კონცერტი გამართა

ცნობილმა ქართველმა მევიოლინემ ლიზა ბათიაშვილმა გერმანიაში, ბერლინის ფილარმონიაში, უკრაინელების მხარდასაჭერი აქცია-კონცერტი გამართა.

ნიკოლოზ რაჭველი, დირიჟორი:

– ბერლინის ფილარმონია, ლიზა ბათიაშვილი, სადირიჟორო პულტთან ნიუ იორკის ფილარმონიული ორკესტრის წინა მუსიკალური ხელმძღვანელი ალან გილბერტი.

ლიზას ინიციატივით დიდი აქცია-კონცერტი გაიმართა გერმანიის უმთავრეს საკონცერტო დარბაზში, რომელიც გერმანიის კულტურის მინისტრმა წაიყვანა, სადაც მსოფლიო ვირსკვლავებმა თავიანთი გამოსვლით გამოხატეს სოლიდარობა და მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ, ხალხის, რომელიც ყველა ჩვენგანის ომს ომობს.

ლიზა ბათიაშვილი, მევიოლინე:

– რა ცოტა რამ შეგვიძლია გავაკეთოთ იმ უბედურების წინააღმდეგ, რომელსაც უდანაშაულო უკრაინელი ხალხი განიცდის. ვერასდროს შევძლებთ, მათ დავუბრუნოთ ის, რაც უკვე დაკარგეს. ამის მიუხედავად, მაინც არ უნდა დავნებდეთ და ვიყოთ მათთან ყველანაირად – სიტყვით, მუსიკით, მინიმალური დახმარებით.

მოდით, შევწყვიტოთ საკუთარ დადებით და უარყოფით მხარეებზე ფიქრი, როდესაც საქმე ეხება დიქტატურასა და სიბნელესთან ბრძოლას.

ეს კონცერტი იყო მნიშვნელოვანი ნიშანი იმისა, უკრაინის მოსახლეობას დავპირდეთ, რომ ჩვენ მათ განსაცდელში არ მივატოვებთ!

ბექა გოჩიაშვილმა ჩიკ კორეას ტრიოსთან ერთად დაუკრა

მსოფლიოში აღიარებულმა ჯაზპიანისტმა ბექა გოჩიაშვილმა ლეგენდარული ჩიკ კორეას ტრიოსთან ერთად ბუდაპეშტში დაუკრა.

ბუდაპეშტის ბარტოკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ლეგენდარული ჩიკ კორეას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

კონცერტში ჩიკ კორეას რჩეულმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა მიიღეს მონაწილეობა. დარბაზში მყოფი მსმენელისთვის მათ მუსიკოსის ახალი ნაწარმოები შეასრულეს და მქუხარე ოვაციები და ხანგრძლივი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

ბისზე მუსიკოსებმა ჩიკ კორეას ცნობილი თემა ერთობლივად დაუკრეს და დამსწრე საზოგადოება საკუთარი ნიჭიერებით კიდევ ერთხელ აღაფრთოვანეს.

გაგა ჩხეიძე: „მალე გავაკეთებ ოფიციალურ განცხადებას“

კულტურის სამინისტროს მიერ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებული გაგა ჩხეიძე აცხადებს, რომ ოფიციალურ განცხადებას მალე გააკეთებს:

– ერთ მაგალითს მოვიყვან და თავად მიხვდებით, რა სახის დასკვნა დადო კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტმა.

„აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებში“ პირველივე პუნქტი ასეთია:

– „კინოცენტრში არ არსებობს კინოინდუსტრიის ერთიანი სრულყოფილი ოფიციალური ბაზა, სადაც იქნება ასახული ინფორმაცია რეჟისორთა, სცენარის ავტორთა, პროდიუსერთა და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა პირთა საქმიანობის შესახებ (ბიოგრაფია, ფილმოგრაფია და სხვა)“.

მართლაც, კინოცენტრს ასეთი ხელმისაწვდომი ბაზა ადრე არ ჰქონდა. როგორც კი მივედი კინოცენტრში, იმავე წელს შევიძინეთ საიტი „ჯეოსინემა“ მთელი თავისი მონაცემთა ბაზით. ვინც კინოთია დაინტერესებული, ყველამ იცის ეს საიტი. ამჟამად დასასრულს უახლოვდება კინოცენტრის ახალ ვებგვერდზე მუშაობა და მთელი ბაზა ხელმისაწვდომი გახდება, როგორც კი საიტი ჩაირთვება. ახალი კონტენტის შეყვანაზე კინოცენტრის რამდენიმე თანამშრომელი მუდმივად მუშაობს.

თავად „ჯეოსინემა“ თავის დროზე, 2006-2007 წლებში როცა ვიყავი კინოცენტრში, რამდენიმეჯერ დავაფინანსეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეს ყველაფერი აუდიტს შარშან სექტემბერში ავუხსენით, ეს პუნქტი მაინც არ ამოიღეს.

ხვდებით, ალბათ, როგორ დასკვნასთან გვაქვს საქმე.

თავს მეტად არ შეგაწყენთ. ძალიან მალე გავაკეთებ ოფიციალურ განცხადებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. საქართველოს ეროვნული გმირი; 2. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; 3. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 4. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 7. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 8. კუთხე საქართველოში; 12. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი გასამრჯელო; 14. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 17. ხორცისგულიანპი სვანური ორცხობილა; 19. ცხვრის ქონიანი კუდი; 20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

თარაზულად: 5. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 6. ძველი რწმენისგან განდგომა; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. მინერალური წყალი იმერეთში; 13. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 15. ტბა სამხრეთ საქართველოში; 18. მოკლე შარვალი; 21. პარფიუმერიულ საშუალებათა სახელწოდება ძველად საქართველოში; 22. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით; 23. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა